პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 3 (13), პარასკევი, 14 იანვარი, 1944 წელი. ფასი 1 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:
- **ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა.**
- ჩვენი სამშობლოს დიდების ჰიმნი (მოწინავე).
- რუსი მწერლები პრუსიელობაზე.
- **აბელ კიკვიძე** — წიგნი საქართველოს ისტორიისა.
- **ხარიტონ ვარდოშვილი** — ორი სონეტი.
- **დიმიტრი ჯანელიძე** — დავით გურამიშვილი და სახიობა.
- პირველი ქართული თეატრის ასორმოცდაათი წლისთავი.
- **კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — ქართველები ბრძოლის ველზე.
- **შალვა ბუაჩიძე** — „ქამთაბერის ასული".
- მნიშვნელოვანი ხელთნაწერის აღმოჩენა.
- **ვ. ილენკოვი** — მოთხრობები.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ კ ო ნ ე ვ ს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა და დღეს, 8 იანვარს, მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს უკრაინის საოლქო და დიდი სამრეწველო ცენტრი—ქალაქი **კიროვოგრადი**—მოწინააღმდეგის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი.

ოთხი დღის შეუპოვარი ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 30-დან 50-მდე კილომეტრით და გარღვევა გააფართოვეს 120-მდე კილომეტრი ფრონტით.

შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა 3 სატანკო, 1 მოტორიზებული და 4 ქვეითი დივიზია.

ქალაქ **კიროვოგრადის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **შუმილოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ჟადოვის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **როტმისტროვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კატკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პოლოზკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კირიჩენკოს** ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ფომინის** არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **გორიუნოვის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **სერიუგინის** ბელგოროდ-ხარკოვის გვარდიის 89-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ოგოროდოვის** ალექსანდრიის გვარდიის 110-ე მსროლელმა წითელდროშოვანმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ცინციპეროვის** პოლტავის გვარდიის 97-ე მსროლელმა წითელდროშოვანმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **კოვტუნ-სტანკევიჩის** სლავიანსკის 297-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ლებედენკოს** ზაპოროჟიეს 50-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ფედოროვსკის** ვერხნე-დნეპროვსკის 303-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **სოროკინის** 409-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ლოსევის**, კრასნოგრადის გვარდიის 72-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **მოროზოვის** კრასნოგრადის გვარდიის 81-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **კლეპკოს** 25-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **პოპოვის** 31-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ჩუნიხინის** 170-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ბოგუნოვის** პოლტავის 57-ე ცალკე სატანკო პოლკმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რიაზანოვის** 1-მა მოიერიშე ავიაციის კორპუსმა, პოლკოვნიკ **დობიშის** გვარდიის 1-მა ბომბდამშენი ავიაციის დივიზიამ, პოლკოვნიკ **ნემცევიჩის** 205-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზიამ, პოლკოვნიკ **ზინოვიევის** 302-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზიამ, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოპოვიჩის** მე-11 საარტილერიო დივიზიამ, არტილერიის გენერალ-მაიორ **გუსაროვის** მე-16 საარტილერიო დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **კოტოვის** მე-1000 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკმა, მაიორ **შილნოვის** 1669-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **კოზარენკოს** კრასნოგრადის 115-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ტიხომიროვის** ჰაუბიცის 678-ე საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ემელიანოვის** 1543-ე თვითმავალი არტილერიის პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **კრავჩენკოს** 1694-ე თვითმავალი არტილერიის პოლკმა, მაიორ **როჟმანოვის** 263-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ფურაშევის** 292-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ჩუმაკის** გვარდიის 97-ე ნაღმმტყორცნელმა წითელდროშოვანმა პოლკმა, მაიორ **მედვედევის** გვარდიის მე-11 ცალკე ნაღმმტყორცნელმა დივიზიონმა, პოლკოვნიკ **ცეპენიუკის** მე-60 საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ, მაიორ **სიჩევის** 329-ე საინჟინრო ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **კიროვოგრადის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ სახელწოდება „**კიროვოგრადისა**".

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

სლავიანსკ-კიროვოგრადის 297-ე მსროლელი დივიზია,
ზაპოროჟიე-კიროვოგრადის 50-ე მსროლელი დივიზია,
კიროვოგრადის 409-ე მსროლელი დივიზია,
კიროვოგრადის 25-ე სატანკო ბრიგადა,
კიროვოგრადის 31-ე სატანკო ბრიგადა,
კიროვოგრადის 170-ე სატანკო ბრიგადა,
კიროვოგრადის 1-ლი მოიერიშე ავიაციის კორპუსი,
კიროვოგრადის გვარდიის 1-ლი ბომბდამშენი ავიაციის დივიზია,
კიროვოგრადის 205-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზია,
კიროვოგრადის 302-ე გამანადგურებელი ავიაციის დივიზია,
კიროვოგრადის მე-11 საარტილერიო დივიზია,
კიროვოგრადის მე-16 საარტილერიო დივიზია,
კიროვოგრადის მე-1000 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი,
კიროვოგრადის 1669-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი,
კიროვოგრადის ჰაუბიცის 678-ე საარტილერიო პოლკი,
კიროვოგრადის 1543-ე თვითმავალი არტილერიის პოლკი,
კიროვოგრადის 1694-ე თვითმავალი არტილერიის პოლკი,
კიროვოგრადის 263-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
კიროვოგრადის 292-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
კიროვოგრადის გვარდიის 97-ე ნაღმმტყორცნელი წითელდროშოვანი პოლკი,
კიროვოგრადის გვარდიის მე-11 ცალკე ნაღმმტყორცნელი დივიზიონი,
კიროვოგრადის მე-60 საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა,
კიროვოგრადის 329-ე საინჟინრო ბატალიონი.

ბელგოროდ-ხარკოვის გვარდიის 89-ე მსროლელი დივიზია, ვერხნე-დნეპროვსკის 303-ე მსროლელი დივიზია, კრასნოგრადის გვარდიის 72-ე მსროლელი დივიზია, კრასნოგრადის გვარდიის 81-ე მსროლელი დივიზია, პოლტავის 57-ე ცალკე სატანკო პოლკი, კრასნოგრადის 115-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი, რომლებმაც არაერთგზის გამოიჩინეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენებით დასაჯილდოებლად და ალექსანდრიის გვარდიის 110-ე მსროლელი წითელდროშოვანი დივიზია, პოლტავის გვარდიის 97-ე მსროლელი წითელდროშოვანი დივიზია — **სუვოროვის მე-2 ხარისხის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კატკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პოლოზკოვის** და სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კირიჩენკოს** სატანკო შენაერთები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლებში, წარდგენილ იქნან **წითელი დროშის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 8 იანვარს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **კიროვოგრადი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **კიროვოგრადის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 8 იანვარი.

ჩვენი სამშობლოს დიდების ჰიმნი

ჩვენმა დიადმა სამშობლომ ახალი წლის კარები, ბედნიერი მერმისის, მტერზე მოახლოვებული გარდაუვალი გამარჯვების კარები ახალი სახელმწიფო ჰიმნის ძლევამოსილი ჰანგებით შეაღო.

ამიერიდან გულში ჩამწვდენი მრავალმეტყველი სტროფები და წარმტაცი მელოდია ამ უკვდავი ჰიმნისა საბჭოთა ქვეყნის შვილების მარად განუყრელი თანამგზავრნი იქნებიან. ყოველ დღეს ჩვენი ცხოვრებისას ამ ჰიმნით დავიწყებთ და ამ ჰიმნითვე დავამთავრებთ. იგი იქნება ჩვენი შთამგონებელი და მომწოდებელი ყოველდღიური მამაცური შრომისა და გმირული ბრძოლისაკენ. მასში არის განსახიერებული საბჭოთა ხალხების დიადი წარსული, მისი გმირული აწმყო და ბედნიერი მომავალი.

საბჭოთა ადამიანის უწმინდესი გრძნობების და უდიადესი აზრების გამომხატველი ეს ჰიმნი მუდამ აამღერებს ჩვენს გულს უღრმესი სიყვარულის და მადლობის გრძნობით დიდი რუსი ხალხისადმი, რომელმაც თავისუფალ რესპუბლიკების ერთ ურღვევ კავშირად დარაზმა ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხები.

იგი მუდამ გვაახსენებს ჩვენ—საბჭოთა ქვეყნის შვილებს, რომ მძაფრ ქარტეხილებსა და გრიგალებში ჩვენ გვინათებდა მზე თავისუფლებისა, რომ ჩვენ გზას გვიშუქებდა დიდი ლენინი, რომ ხალხის ერთგულ შვილებად ჩვენ გვზრდიდა დიდი სტალინი, რომ დიდი სტალინი შთაგვაგონებდა და შთაგვაგონებს ჩვენ მამაცური შრომისა და გმირობის სულისკვეთებას.

მუდამ დღე ჰიმნი ჩვენ გვეტყვის, რომ ლენინი და სტალინი არიან ცოცხალი განსახიერება ბოლშევიკური პარტიისა, რომელიც წინ უძღოდა და მეთაურობდა საბჭოთა ხალხს სოციალისტური მეურნეობის, უძლიერესი საბჭოთა სახელმწიფოს შესაქმნელად გაჩაღებულ და სოციალიზმის გამარჯვებით დაგვირგვინებული გოლიათური შრომის დროს.

ჰიმნის ყოველი შესრულებისა და მოსმენისას ჩვენი გულისა და გონებისაგან მარად განუყრელი იქნება სახე ჩვენი მამაცი არმიისა, უსასტიკეს და უმწვავეს ბრძოლებში აღზრდილი და გაწვრთნილი წითელი არმიისა, განუყრელი იქნება ამ არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის უწმინდესი მოვალეობა და უდიდესი მოწოდება აღვგავოთ მიწის პირისაგან უმსგავსო, ბილწი დამპყრობელი, განუყრელი იქნება შეგნება იმისა, რომ ოდნავადაც არ შევანელოთ დაძაბული შრომა და მედგარი ბრძოლა რათა უსასტიკესი და უმძაფრესი ბრძოლებით ჩვენ გადავწყვიტოთ და ბედნიერი მერმისისაკენ წარვმართოთ არა მარტო ჩვენი, არამედ მომავალ თაობათა ბედი, რომ ამ სასიქადულო ბრძოლებით ჩვენ მარად უჭკნობ დიდებისაკენ წავიყვანოთ ჩვენი მამული, ჩვენი სამშობლო.

საბჭოთა კავშირის ახალი ჰიმნი ადიდებს ჩვენს თავისუფალ სამშობლოს, როგორც ხალხთა მეგობრობის, ხალხთა ბედნიერების, ხალხთა დიდების უდრეკ, საიმედო დასაყრდენს, ეს არის დიდება ქვეყნისა, რომელიც ცოცხლობს და დღეგრძელობს ხალხთა სტალინური მეგობრობით, მათი ბედნიერებით, მათი დიდებული წარსულით, აწმყოთი და მერმისით. საბჭოთა კავშირის ახალი ჰიმნი—ეს არის დიდება საბჭოთა ალამისა, ძლევამოსილი სახალხო ალამისა, რომელზედაც აღბეჭდილია სტალინური კონსტიტუციის ქვეყნის სწორუპოვარი მონაპოვარი, დიდება სახალხო ალამისა, რომელსაც ერთ მშობლიურ ოჯახში გაერთიანებული მოძმე საბჭოთა ხალხები მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ლენინ-სტალინის ამ სახალხო ალამისადმი თავის უსაზღვრო ერთგულებას მუდამ დღე ამჟღავნებენ ჩვენი კავშირის ყველა ხალხები, მათ შორის, ქართველი ხალხიც თავისი მასობრივი გმირობით, თავისი ლეგენდარული ვაჟკაცობით და თავდადებით.

რვა იანვარს გამოქვეყნებული ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ კიდევ ერთი დადასტურებაა ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა თავისი დიდი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა სახალხო დროშისადმი.

„სამამულო ომის პირველ დღიდანვე,—სწერს „პრავდა" ამ ბრძანებულების გამო,—ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები სსრ კავშირის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. ძახილით „გამარჯვება"! — მიდიოდნენ საქართველოს შვილები ბრძოლაში. ამავე ძახილით საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი დადგნენ თავიანთ შრომითს პოსტზე. ქართველი მეომრები დღითიდღე ამრავლებდნენ თავიანთ საბრძოლო საგმირო საქმეებს. დღითიდღე ამრავლებდნენ თავიანთს საგმირო საქმეებს ზურგის მშრომელი ქართველებიც. და როდესაც ჰიტლერელი ყაჩაღები კავკასიისაკენ მოძვრებოდნენ, ქართველმა ხალხმა შეჰფიცა სამშობლოს, დიდ სტალინს, რომ გააორკეცებდა თავის ღონისძიებებს მტერთან ბრძოლაში, გააძლიერებდა თავის დახმარებას ფრონტისადმი. საქართველოს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და ვენახებში, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა ფრონტისათვის დასახმარებლად. ჭეშმარიტად გმირული მუშაობა გასწიეს საქართველოს კოლმეურნეებმა, კოლმეურნე ქალებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა... საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ სახელოვანი ფურცელი ჩასწერა თავის სამშობლოს დაცვის ისტორიაში".

ამ დიდი ჯილდოთი და მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული და გამხნევებული ქართველი ხალხი, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში არ დაზოგავს თავის სულიერ და ფიზიკურ ენერგიას, რომ საბჭოთა სახალხო ალამი, ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა ურყევი მეგობრობის ძლევამოსილი ალამი ამაყად ფრიალებდეს საზიზღარი მტრისაგან საბოლოოდ გაწმენდილ ჩვენი მამულის წმინდა მიწა-წყალზე.

◇

მოძმე ხალხთა პოეტების წიგნები
პოემა ბრძოლაში დაღუპულ შვილზე

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" მოსკოვში გამოსცა პ. ანტოკოლსკის ახალი წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია პოემა „შვილი" და ლექსები: „ახალწლის ღამე", „ქარბუქის ზღაპარი", „ბალადა იმის შესახებ თუ როგორ გადარჩა ჟან ლეკოკი" და სხვ.

ანტოკოლსკის ზემოხსენებული პოემა მიძღვნილია შვილის ხსოვნისადმი. მისი შვილი გმირულად დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში. ეს პოემა ღრმად ადამიანური ქმნილებაა, აღსავსე დარდით ახალგაზრდა სიცოცხლის დაღუპვის გამო; პოემის ყოველი სტრიქონი მეტყველებს უსაზღვრო სიძულვილით და მრისხანებით ფაშისტ ავაზაკთა მიმართ. ეს ნაწარმოები ლაპარაკობს იმავე დროს პოეტის დიდ სულიერ ძალასა და მოქალაქეობრივ კეთილშობილებაზე. ანტოკოლსკის პოემა ომის პერიოდის საბჭოთა პოეზიის საინტერესო მოვლენაა.

„ბრძოლის სიტყვა".

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მოსკოვში გამოსცა ლიტველი პოეტის ლიუდას გირას ლექსების წიგნი — „ბრძოლის სიტყვა". წიგნი იხსნება ლექსით „დამონებულ ლიტვას", რომელშიაც პოეტი მძაფრად გამოხატავს ლიტველი ხალხის უსაზღვრო სიძულვილს გერმანელი მტარვალებისადმი. ლიუდას გირას წიგნის ყოველი სტრიქონი აღსავსეა ბრძოლისაკენ მოწოდებით. პოეტი ღრმად განიცდის იმ ტანჯვასა და ტკივილებს, რომელიც ფაშისტმა არამზადებმა მიაყენეს ლიტვის ხალხს. თავის ლექსებში პოეტი მოუწოდებს მშობლიურ ხალხს შურისძიებისაკენ. პოეტის ეს წიგნი აღსავსეა ლიტვის ნათელი მომავლის ღრმა რწმენით.

იოჰანეს ბარბარუსის ახალი წიგნი

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა ცნობილი ესტონელი პოეტის იოჰანეს ბარბარუსის ლექსების ახალი წიგნი. ბარბარუსის ნათელი და თავისებური პოეზია გამოირჩევა ღრმა იდეურობით. ომის დღეებში პოეტი სწერს მგზნებარე მოწოდებებს ესტონელი ხალხისადმი, ყოველ ნაწარმოებში ის უბრუნდება მშობლიური ქვეყნის სახეებს.

წიგნში არის ლექსები მიძღვნილი უძლეველი მოსკოვისადმი, გმირული ლენინგრადისადმი. აქვეა გამოქვეყნებული ისტორიული პოემა „იურის ღამე", რომელშიაც პოეტი აგვიწერს ესტონელი ხალხის აჯანყებას გერმანელი მტაცებლების წინააღმდეგ 1343 წელს.



სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი პოლკოვნიკი **გიორგი ყურაშვილი.**
ნახ. მხატ. **შ. მამალაძის.**

რუსი მწერლები პრუსიელობაზე*)

ეს ყველაზე თანადროული წიგნია, ისეთი, როგორის წარმოდგენაც კი შესაძლებელია, თუმცა იგი მე-18 საუკუნის ლექსით იწყება. ამ წიგნში თავმოყრილია აზრები და გამოთქმები რუსი მწერლების და პოეტებისა, დაწყებული ლომონოსოვით და გათავებული გორკით და მაიაკოვსკით, იმ საზიზღარი მოვლენის შესახებ, რომელსაც „პრუსიელობა" ეწოდება.

ლომონოსოვი ამ 181 წლის წინად დაწერილ ლექსში მოუწოდებს თავის თანამედროვეებს, ფხიზლად ადევნონ თვალი, „რათა სიამაყისთვის დასჯილმა ბერლინმა არა განიზრახოს-რა სახელმწიფოების შეწუხებისათვის".

ფონვიზინი, გამოჩენილი კომედიოგრაფი, გერმანიაში მოგზაურობის დროს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ჩვენში (ე. ი. რუსეთში) ყველაფერი უკეთესია. და ჩვენ უფრო ადამიანები ვართ, ვიდრე გერმანელები".

ლერმონტოვი ირონიულად იხსენებს იმ ხალხს, რომელიც „უნიჭოდ მართავს და ფულისთვის მსახურობს, სტანჯავს ყველას, ხოლო როცა თავათ მას სცემენ, არა სწუხს, რომლის ქვეყანაშიც ყოველი ქაჯი ბარონია, ხოლო ყოველი პროფესორი — მეჩექმე".

ბელინსკის აზრით, „ბევრი გერმანელი ფილისტერებადაც-კი იბადება".

გერცენი, რომელიც ყველაზე მეტს სწერდა რეაქციული გერმანიის შესახებ, სწორედ ასი წლის წინათ 1843 წელს, ამტკიცებდა, რომ გერმანია „ჰუმანიზმის საკითხში მთელ ევროპაში ყველაზე დაბლა სდგას"-ო. მანვე მომაკვდინებლად დაახასიათა ის გერმანელები, რომელთაც თვითმპყრობელობის დროს დიდი თანამდებობები ეჭირათ რუსეთში: „მათ არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ჩვენ ქვეყანასთან, რომლის შესწავლისათვისაც ისინი თავს არ იტკივებდნენ და რომელიც სძულდათ მათ, როგორც ბარბაროსული ქვეყანა. ურცხვობამდე ქედმაღალნი, ისინი იმპერატორთა ხელისუფლების ყველაზე უფრო მონურ და საზიზღარ იარაღს წარმოადგენდნენ". გერცენს ფაქტად მიაჩნდა ის, რომ „გერმანელებს სძულთ საერთოდ ყოველივე რუსული და ყველა რუსი", რომ ისინი „განირჩევიან ქედმაღლური ზიზღით ყოველივე რუსულისადმი, სიძულვილით ჩვენს მიმართ, რის დაფარვას ისინი ვერც-კი ახერხებენ". გერცენს აშფოთებდა, რომ გერმანელ პუბლიცისტებს „არად" მიაჩნდათ ის ფაქტი, რომ რუსეთმა 1812 წელს გერმანია ნაპოლეონის მონობისაგან გაანთავისუფლა.

ტურგენევი ერთ-ერთ თავის რომანში („წინა დღეს") გადმოგვცემს ხეპრე და უზრდელი გერმანელის ამბავს. ეს გერმანელი მოსვენებას არ აძლევდა ქალიშვილს, მაგრამ როცა მაგრა დახვდნენ და სათანადო მიუზღეს, იგი ერთბაშად მოლბა და უბადრუკ მხდლად გადაიქცა.

ჩერნიშევსკი გარკვევით ამტკიცებდა, რომ თეორია ძირითად განსხვავების შესახებ რასებს შორის გამოგონილია მონათმფლობელთა მიერ მონობის გასამართლებლად. ეს ადამიანები, — ამბობდა ჩერნიშევსკი, — „ძალმომრეობის მოყვარულნი არიან. თუმცა მათ იციან ცივილიზებური საზოგადოების ენით ლაპარაკი, მაგრამ გულში ისინი ბარბაროსული დროის ადამიანებად რჩებიან".

ნეკრასოვი თავის გამოჩენილ პოემაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" მოხუცი გლეხის საველის პირით ასე ახასიათებს გერმანელ მოურავს, რომელიც გლეხთა შრომის სასტიკ ექსპლოატაციას ეწევა:

У немца хватка мертвая:
Пока не пустит по миру,
Не отойдя, сосет.

სწორედ ახლა გვმართებს გერმანელთა გაუმაძღრობის ამ კლასიკური დახასიათების გახსენება, როცა ისინი ასე შეუბრალებლად და უზომოდ სწოვენ სისხლს გერმანიაში ძალით გარეკილ მშვიდობიან რუს ადამიანებს.

სალტიკოვი გერმანიის მოვლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბერლინი „არაფრისთვის არ არის საჭირო, იგი საჭიროა მხოლოდ ადამიანთა მკვლელობისთვის".

მაგრამ ყველაზე ძლიერი, რაც შესანიშნავ რუს სატირიკოსს გერმანელებზე დაუწერია და იქნებ ყველა იმაზე ძლიერიც, რაც რუსულ ლიტერატურაში მათზე დაწერილა, არის სალტიკოვის ცნობილი სატირიკული ნარკვევი „ძარღიანი ბიჭი და უძარღლო ბიჭი". რა თანადროულად გაისმის აღშფოთებული სიტყვები გერმანელთა ზვიადობაზე, გაუმაძღრობაზე, სიმკაცრესა და ბარბაროსობაზე! შესცვალეთ მხოლოდ რამდენიმე გამოთქმა და მიიღებთ იმის სრულ სურათს, რაც ამჟამად ხდება გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. „თქვენ თავი მოგაქვთ მეცნიერებით, — ეუბნება რუსი ბიჭი გერმანელს, — მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ თქვენ იმისთვის მოხვედით, რათა მოსპოთ მეცნიერება". კითხულობ ამ სტრიქონებს და ცოცხლად ხედავ ჩვენი დროის ჰიტლერელებს, რომელნიც ირწმუნებიან — კულტურას ვიცავთო. ნამდვილად-კი ყველასთვის აშკარაა, რომ ისინი მოვიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მოსპონ ყოველგვარი კულტურა. „თქვენ მიგვითითებთ თქვენს თავისუფალ დაწესებულებებზე, — ამბობს შემდეგ რუსი ბიჭი, — ყველა-კი დარწმუნებულია, რომ მარტოოდენ თქვენი მოსვლა ჩაჰკლავს ყოველ აზრს თავისუფლებაზე". ასევე აშკარად ხედავს ყველა დღეს, რომ ჰიტლერის „ახალი წესრიგი" არის მხოლოდ გაუგონარი ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის და აუწერელი სიმხეცის სისტემა.

სალტიკოვი ასეთი სიტყვებით მიმართავს გერმანელებს: „მხოლოდ შური და გაუმაძღრობა გაქვთ თქვენ პირველხარისხოვანი, და რადგან თქვენ თვითონებურად ერთმანეთში აურიეთ ეს გაუმაძღრობა და უფლება, ამიტომ ფიქრობთ, რომ თქვენ მთელი მსოფლიო უნდა შესანსლოთ. აი რატომ სძულხართ თქვენ ყველგან, — არა მარტო ჩვენსა, არამედ ყველგან". სამოცდასამი წლის წინად ნათქვამ ამ მრისხანე სიტყვებში საჭირო არ არის რაიმეს შეცვლა დღეს. ამ სიტყვებით დიდმა რუსმა სატირიკოსმა საფლავიდან სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთელი მსოფლიოს თვალში საძულველი ჰიტლერიზმი.

გლებ უსპენსკი, რომელმაც ბერლინი მოინახულა საფრანგეთის დამარცხებისა (1871 წელს) და შოვინისტური აღტყინების წლებში, ამტკიცებდა, რომ ყოველ გერმანელში „სანიმუშო, შეგნებული მხეცი ზის"-ო.

ლევ ტოლსტოი „ომსა და მშვიდობაში" ამბობს, რომ „გერმანელი თვითდამჯერია ყველაზე უარესად, ყველაზე მტკიცედ და ყველაზე საზიზღრად", ხოლო ერთ-ერთ თავის წერილში გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორეზე სწერს, რომ იგი შეზღუდული, ნაკლებად განათლებული და პატივმოყვარე კაცია, თანაც გერმანელი იუნკრის იდეოლოგიით გამსჭვალული". ამავე დროს ტოლსტოი უსაყვედურებს ვილჰელმს და მის ქვეშევრდომებს, რომ „არ არის ისეთი სისულელე და სისაზიზღრე, რომელიც მას არ ეთქვას და რომელიც აღტაცებული „ვაშათი" არ მიეღოთ მის ქვეშევრდომებს"-ო.

ჩეხოვი გერმანიაში ყოფნის დროს თავის დას სწერდა, რომ გერმანელთა ცხოვრებაში „სრულიად არ იგრძნობა ნიჭის ნატამალი, გემოვნების ნატამალი" და რომ „ჩვენი რუსული ცხოვრება ბევრად უფრო ნიჭიერია"-ო.

გორკი ვერ მოესწრო გერმანიის ვერაგულ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, მაგრამ იგი წინასწარ მიხვდა, რა მუხანათობის ჩადენა შეეძლო ფაშიზმს. ჯერ კიდევ გორკი ცოცხალი იყო, როცა იტალიურმა ფაშიზმმა თავისი ყაჩაღური ლაშქრობა დაიწყო აბისინიაში. აღშფოთებით სწერდა გორკი იმაზე, თუ „როგორ არაადამიანურ რეკორდებს მიაღწია იტალიურმა ფაშიზმმა, რომელიც ყუმბარებს უშენს წითელი ჯვრის ლაზარეთებს, ხოცავს დაჭრილებს, სიცოცხლეს უსპობს მედიცინის პერსონალს, გაზებით სწამლავს მშვიდობიან მოსახლეობას, შხამავს პირუტყვს, მიწას, წყალს, მცენარეულს". „გერმანიის ფაშიზმი, — უმატებდა გორკი, — ენერგიულად ემზადება ასეთივე მოქმედებისათვის". „სავსებით ცხადია, — სწერდა აღშფოთებით გორკი, — რომ იტალიას და გერმანიას მართავენ და განაგებენ გადარეული ადამიანები, რომ არ არის ისეთი დანაშაული, რომელსაც ისინი მოერიდნენ, არ არის ისეთი რაოდენობა სისხლისა, რომლის დაღვრაც მათ შეაშფოთებს". მაგრამ იმავე დროს გორკის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფაშიზმი თავისი უზომო დანაშაულით თავათ იმზადებს თავის დაღუპვას, თავათ ითხრის სამარეს. „მტერი განწირულია, — დაჯერებით სწერდა გორკი, — და იგი მით უფრო ადრე დაიღუპება, რაც უფრო მეტ სიმხეცეს და უგუნურებას ჩაიდენს, რაც უფრო მეტად გაეღვიძება მას სისხლის წყურვილი".

კრებული თავდება პირველ მსოფლიო ომის დროს დაწერილი მაიაკოვსკის პატრიოტული ლექსებით და მისი ცნობილი ლექსით „თვალსაჩინო სახელმძღვანელო", რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს.

ასეთია აღნიშნული კრებულის შინაარსი.

---

*) წიგნი ამ სათაურით რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა წარსულ (1943) წელს.

აბელ კიკვიძე

წიგნი საქართველოს ისტორიისა

აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. ს. ჯანაშიას და პროფ. ნ. ბერძენიშვილის კოლექტიური ნაშრომი — „საქართველოს ისტორია“ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წიგნში მოცემულია საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსი უძველეს დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. იგი აგებულია მეცნიერულ საფუძველზე და წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მეცნიერების მიღწევებით გაშუქებულ პოპულარულ გადმოცემას ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიისას.

საგაზეთო წერილში ძნელია ამ წიგნის ყოველმხრივ შეფასება. საკმარისია ითქვას, რომ მოსე ჯანაშვილის წიგნის შემდეგ მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენ არა გვქონია არა თუ მეცნიერის, არამედ ისტორიის მცოდნის ხელიდან გამოსული საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსი ერთ წიგნად.

მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“ პირველად გამოვიდა 1884 წელს. მეცნიერულ მოთხოვნას ეს წიგნი სრულიად არ იცავდა.

არც მეორე, 1894 წლის გამოცემა იყო მეცნიერებით საფუძველდებული. იგი მაშინდელი ქართული საისტორიო მეცნიერების დონეზე არ იდგა და დიდად ჩამოუვარდებოდა დიმიტრი ბაქრაძის წიგნს („ისტორია საქართველოსი“, 1889 წ. ეს წიგნი X საუკუნის ბოლომდე იყო მიყვანილი).

მიუხედავად ამისა, წიგნს დიდად გამოეხმაურნენ. მას მიესალმა ჩვენი მაშინდელი პრესა. „ივერიამ“, და „კვალმა“ ამ გამოცემას წერილები მიუძღვნეს. წიგნმა მიიღო მაღალი შეფასება, მაშინ, როდესაც ქართული საისტორიო მეცნიერება უკვე შემდგარიყო აღმავლობის გზაზე და ამ მეცნიერების მიღწევები თხოულობდნენ შეუდარებლად უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ამას მ. ჯანაშვილის წიგნი იცავდა.

იმ დროს უკვე დაბეჭდილი იყო თედო ჟორდანიას ქრონიკების I წიგნი. 1897 წელს მეორე წიგნიც დაიბეჭდა. თედო ჟორდანიას ქრონიკების გამოსვლამ ერთბაშად წასწია წინ ჩვენი საისტორიო მეცნიერება. მაგრამ მანვე ცხადჰყო სირთულე საქართველოს ისტორიის შესწავლისა; წარმოშვა მრავალი საკითხი, მრავალი პრობლემა, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვდნენ. ასე რომ თვით თ. ჟორდანია ამბობდა: ჯერჯერობით ისტორიის დაწერა არც შესაძლებელია და არც სასურველი, რადგან ჩვენ ისევ საბუთების და ძეგლების ძიებაში ვართო.

ამგვარი შეხედულება ჩვენს ისტორიაზე მავნეაო, — აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი 1908 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის გამოცემის გამო ამ გამოცემის წინასიტყვაობაში. ივ. ჯავახიშვილი ამით როდი უარყოფდა საქართველოს ისტორიის პირველწყაროების ძიება-შესწავლის აქტუალობას. იგი მხოლოდ აღიარებდა საქართველოს ისტორიის წიგნის შექმნის შესაძლებლობას და მის საჭიროებას ხალხისათვის, საზოგადოებისათვის. მას წილად ხვდა თავისი მეცნიერული შემოქმედებით გაეერთიანებინა წყარო და მასზე დამყარებული წიგნი და მით დაეწყო, როგორც თავათ ამბობდა, კრიტიკული ისტორიის წერა.

ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. საქართველოს ისტორიის პრობლემებმა ამ დიდი მეცნიერის დაუშრეტელი ენერგიაც შეიწოვა, ისე რომ მას არ დარჩა დრო საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ზოგადი ისტორია — ადვილად საკითხავი წიგნი. როცა ამგვარად (ე. ი. მონოგრაფიულად) წერას მოვრჩები, მაშინ ჩვეულებრივი მკითხველისათვის გასაგები ზოგადი ისტორიის დაწერაც მაქვს განზრახულიო, აღნიშნავდა განსვენებული მეცნიერი.

1928 წელსაც ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის უკვე მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობდა: „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიების და დებულებების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივად დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოტეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს“.

რადგან ეს წიგნიც მხოლოდ მონოგრაფიად იქცა, ავტორი, უწევდა რა ანგარიშს ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას, მიუთითებდა იმ პარაგრაფების გამოტოვებას, რომლებიც მხოლოდ სპეციალისტისათვის წარმოადგენენ ინტერესს.

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა საქართველოს მეცნიერული ისტორია, მაგრამ ის იყო არა ერთიანი ანუ მთლიანი კურსი, არამედ სამეცნიერო დისციპლინებად წარმოდგენილი დანაწევრებული ისტორია. საჭირო გახდა ამ დისციპლინების გაერთიანება, ისტორიის წიგნისათვის მათი გადამუშავება. ამ ღონისძიების ერთ-ერთ მოთავედ და მის მთავარ მონაწილედაც ის გამოვიდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, და ჭაბუკური სიხალისით შეუდგა იგი საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის შესახებ წერას ხალხისათვის გასაგებ ენაზე.

მაგრამ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ არც ამ დიდი მეცნიერის კრიტიკული ისტორია აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, და აქ მას უკვე მოუსწრეს მისმა გაწვრთნილმა მოწაფეებმა.

ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი და სოციალური განვითარების ისტორიას ივანე ჯავახიშვილის შრომები ავსებდნენ X საუკუნიდან XVI საუკუნემდე. მეათე საუკუნემდე ეს ისტორია თხოულობდა ახალი სქემით შევსებას, ხოლო XVI საუკუნიდან — გაგრძელებას. ახლად გამოცემულ საქართველოს ისტორიის წიგნში უძველესი დროიდან მერვე-მეცხრე საუკუნემდე — მთელი ამ დროის შემცველ მოთხრობას უმეტესად სიმონ ჯანაშიას გამოკვლევები უდევს საფუძვლად. 1932 წლიდან ს. ჯანაშიას სხვადასხვა დროს დაბეჭდილი შრომები ეხებიან ქართველი ხალხის სოციალური განვითარების ისტორიას, ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობას და შემდგომ მის განვითარებას.

მისი კონცეპცია ადრინდელი ფეოდალური ქართლის შესახებ დაადასტურეს უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მცხეთა-არმაზში და მით მტკიცე საფუძველი შეექნა ავტორის მიერ წამოყენებულ არა ერთ დებულებას.

საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობები ივ. ჯავახიშვილმა უარჰყო. იგი დაემყარა მხოლოდ უცხოელ მწერალთა ცნობებს. ეს ცნობები არც საკმარისი იყო სისტემატური ისტორიისათვის და არც თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერად ანალიზებული.

ივ. ჯავახიშვილის მკაცრმა კრიტიკამ ლეონტი მროველის თხზულებას ქართველ ტომთა წარმომავლინარეობის შესახებ მთლად დაუკარგა ფასი და მნიშვნელობა. ხოლო ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე განსვენებული მეცნიერი თვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართველები და კავკასიის ხალხები ერთმანეთს ენათესავებიან, რომ ენობრივად ქართველები და მთიანი კავკასიის ხალხები **ალბანელებითურთ** ერთი ოჯახიდან წარმომდინარეობენ. მათ საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდათ. რასაკვირველია, ლეონტი მროველის თეორია კავკასიელ ხალხთა ჩამომავლობის შესახებ, სადაც ის ნამდვილ ქართველ ტომებს კავკასიის სხვა ხალხებში ურევს, კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ თვით მის კონცეპციაში კავკასიელ ხალხთა საერთო ჩამომავლობის შესახებ ჭეშმარიტების მარცვალი ძევს და მით უფრო ფასდასადებია ჩვენი მატიანის ეს ნაწილი. ლეონტი მროველს აქაც რაიმე წყარო უნდა ჰქონოდა ხელთ.

სიმ. ჯანაშიამ ამ გვიანდელი მემატიანე-ისტორიკოსების ცნობების უკუქცევითი ანალიზისა და უცხოელ მწერალთა ცნობების ფართო გამოყენებით მოგვცა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მოსახლე ქართველი ტომების ისტორიული განვითარება, მათი სახელმწიფოებრივობისა და განვითარების ადრინდელი ფაზები.

უფრო მეტიც: ქართლის მოქცევის მატიანეზე დაკვირვებამ ს. ჯანაშია მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ წყაროში დაცულია ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ, და ლინგვისტიკური ანალიზის საფუძველზე, უცხოელ მწერალთა ცნობებისა და ჩვენი მატიანის ცნობის შედარებით და უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების გამოყენებით განსაზღვრა ქართველთა პირველმოსახლეობის გავრცელების ტერიტორია, ის კულტურული წრე, რომელიც მოიცავდა ამ მოსახლეობას. ამავე ნიადაგზე წარმოადგინა მან ქართველთა ეთნიურ-კულტურული განვითარებისა და ტერიტორიალური გავრცელების სქემა მეორე ათასეულიდან პირველი ათასეულის ბოლომდე.

ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა სახელმძღვანელოში წარმოდგენილიყო შესავალი (ქართველ ტომთა მონათესაობა. ხეთები და სუბარები) და მისი მომდევნო ისეთი თავები, როგორიც არის: საქართველო და კავკასია ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში, ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში, ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში, ფეოდალიზმის გამარჯვება საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი ქართული პატრონ-ყმური შენობა ფეოდალურ საქართველოს სოციალურ და სახელმწიფო განვითარების უმაღლეს საფეხურზე მოექცა. პატრონყმური საქართველო ფეოდალურ საქართველოს აგრძელებს. პირველი მეორის განვითარებაა.

XI-XII საუკუნის საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ სახელმძღვანელოში განზოგადოებულია საქართველოს ეკონომიური ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიაში მონოგრაფიულად დადგენილი დებულებები. აქ იგრძნობა, თუ რამდენი სამსახური შეიძლება გაუწიოს საკითხის მონოგრაფიულად დამუშავებამ ზოგად მსჯელობას იმ გასაგები და ლამაზი მოთხრობისათვის, რომლითაც ფართო მასა ისტორიას ეცნობა.

აქ იგრძნობა, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და სამართლის ისტორიის მთლიანობაში წარმოდგენა, რასაც მთელ თავის სიცოცხლეში ხალხისათვის ზოგადი ისტორიის დასაწერად ნატრობდა ივანე ჯავახიშვილი.

გვიანი ფეოდალური ხანის შემცველი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ნაწილი ნიკო ბერძენიშვილის მიერ საუნივერსიტეტო კურსზე მეცნიერული მუშაობის ნაყოფია. მან დაამუშავა ქართული ბატონყმობის საკითხები, გაარკვია ფეოდალური სამეფოების პოლიტიკური სტრუქტურა, დაასაბუთა ამ სამეფოების დასაყრდენი ძალების გამძლეობა და მოგვცა დასაბუთებული ისტორია ქართველი ხალხის თავგადასავლისა XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე. ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა სახელმძღვანელოში შეტანილიყო ისეთი თავები, როგორიც არის: ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI-XVII საუკუნეებში, ირან-ოსმალეთის გაბატონება საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ, ბრძოლა ქართლ-კახეთის პოლიტიკური თავისუფლებისათვის, საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ქართლ-კახეთის გაერთიანება, ერეკლე II, რუსეთთან შეერთება).

მძიმე და ავი დროა XVI-XVII საუკუნე საქართველოს ცხოვრებაში. წინა აზიაში მებრძოლი ორი დიდი დამპყრობელი ძალის ხონთქარის თურქეთისა და შაჰის ირანის რკალში მოქცეული საქართველო მთელი ამ ხნის მანძილზე სისხლისაგან იცლებოდა და პოლიტიკურად წელში სწყდებოდა. საქართველოს სრულ დაპყრობას და მისი სახელმწიფოებრიობის მოშლას ისახავდა მიზნად ორივე ეს დამპყრობელი ძალა. მაგრამ ქართველი ხალხი გადურჩა დენაციონალიზაციას.

ჩვენი მოზარდი თაობა და ფართო მკითხველი საზოგადოება საქართველოს ისტორიის ახლად გამოსულ წიგნში სიმართლით ამოიკითხავს ჩვენს გმირულ წარსულს და გაიგებს, თუ როგორ დააღწია თავი ქართველმა ხალხმა ხონთქრების თურქეთისა და შაჰების ირანისაგან მოსპობას.

ივ. ჯავახიშვილს და მის მიერ შექმნილ სამეცნიერო სკოლას ემართა მეცნიერულ საფუძველზე აგებული ხალხისათვის საჭირო ისტორიის წიგნი და ეს ვალი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გადახდილია. ახლა საქართველოს ისტორიის სპეციალისტს შეუძლიან სთქვას: „ამაზე მეტის მოცემა ჯერჯერობით შეუძლებელი იყო“.

დღეს, როცა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო გიგანტურ ბრძოლას აწარმოებს ფაშიზმის გასანადგურებლად — ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიის მოთხრობაც ერთ-ერთი მახვილია, რომელიც იცავს საბჭოთა ხალხების კულტურის სიმაგრეს.

როგორ წარმოსდგა ჩვენი ისტორია, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებს ძველ კულტურულ ქვეყნებთან, რა წვლილი შეიტანეს მათ ძველ კულტურაში, როგორ გმირულად იცავდნენ ქართველები თავიანთ ვინაობას და ეროვნულ კულტურას აღმოსავლეთ დამპყრობელთა გამანადგურებელი შემოსევის პირობებში, როგორ იშვებოდნენ და იწრთობოდნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დამცველი გმირები, — განა ყველაფერი ეს აქტუალური არ არის დღეს? ამას ნათლად აშუქებს საქართველოს ისტორიის ახლად გამოსული წიგნი, რომელიც ერთნაირ სამსახურს გაუწევს როგორც მოზარდს, ისე უფროს თაობას.



ნოვოროსიისკი. მთა სახარნაია, საიდანაც იწყებოდა გერმანელების ე. წ. „ცისფერი ხაზი“. ნახ. **ვახტანგ ჯაფარიძისა.**



კაპიტანი შალვა დავითულიანი.
ნახ. მხატ. **სევერიან კეცხოველისა.**



პოდპოლკოვნიკი **ქრ. გაფრინდაშვილი.**
ნახ. მხატ. **შალვა მამალაძისა.**

პირველი ქართული თეატრის 150 წლისთავი

10 იანვარს მწერალთა სასახლეში გაიმართა გიორგი ავალიშვილის თეატრის არსებობიდან 150 წლის აღსანიშნავი საღამო, რომელიც შალვა დადიანის შესავალი სიტყვით დაიწყო, ამის შემდეგ დ. ჯანელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „მე-18 საუკუნის ქართული სახიობა და თეატრი“.

მოხსენების შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მსახიობებმა და სტუდენტებმა (დოც. მალიკო მრევლიშვილის კლასიდან) წაიკითხეს პიესების ნაწყვეტები გ. ავალიშვილის თეატრის რეპერტუარიდან და მე-18 საუკუნის პოეტთა ლექსები. წამკითხველი ახალგაზრდა მსახიობები ნ. იასაღაშვილი, ს. ყანჩელი, მ. ჩახავა, მ. გიჟიმყრელი, ნოდარ ჩხეიძე, სტუდენტები რ. ვასაძე, თ. თეთრაძე, დ. საყვარელიძე, ყიფშიძე, ჭოლოკავა, ნ. ანდრონიკაშვილი, გ. გეგეჭკორი, ვ. კვაჭაძე და შ. ქარუხნიშვილი მხატვრული კითხვის კარგად შეწყობილი და შემოქმედებითი ნიჭიერი ანსამბლის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

გ. ავალიშვილის თეატრის პიესების ნაწყვეტების წაკითხვით მათ გააცოცხლეს და გააცხოველეს ჩვენი წარმოდგენა „კლასიციზმის“ მიმართულების თეატრის შესახებ, ხოლო დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას და დიმიტრი ბაგრატიონის ლექსების კეთილხმოვანი და აზრიანი წაკითხვით მე-18 საუკუნის ქართული პოეზიის სილამაზე და სიღრმე გაგვაცდევინეს. ამ საღამოს განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გ. გეგეჭკორი და ნ. ანდრონიკაშვილი.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ დოც. მალიკო მრევლიშვილი ქართული სასცენო მეტყველებისათვის სწორად წარმართულ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. თეატრალური ინსტიტუტი მართებულად ეკიდება ესოდენი დიდი ყურადღებით მხატვრულ კითხვას. ინსტიტუტის კურსდამთავრებულ მსახიობთა და სტუდენტთა გამოსვლაში იგრძნობა მოძრაობის კულტურა და მხატვრული განსახიერების ჩვევები, რაც ინსტიტუტის აქტიორული ოსტატობისა და რიტმიკის კლასების მიღწევასაც მოწმობს.

ხარიტონ ვარდოშვილი

ორი სონეტი

პატარა კახი

სულს გიშფოთებდა განაწამებ მამულის ბედი,
და გოლიათურ ბრძოლით განვლე სიცოცხლის დღენი,
შენი ყიჟილი რისხვად ჰქუხდა, მტრის ამაზრზენი,
შენი მახვილი ცეცხლს აფრქვევდა — რვალით ნაჭედი.

არ მოგიხრია არასოდეს მტრების წინ ქედი,
მტკიცედ შეჰკარი ფიქალ მკერდით მამულის ბჭენი,
არ გაიმეტა შენთვის ბედმა დღეები ლხენის,
ერის ვაება გაწამებდა უმძიმეს სევდით.

იყავ სიკვდილის დამთრგუნველი, მტრის დამლახვრელი,
ქართლის ჯალათებს რისხვას ჰგვრიდა შენი სახელი.
დიდების სხივით გააშუქე მიწა მშობელი.

იხსენ ქვეყანა ერის სისხლის წვიმების დროსა,
შენ იყავ ხალხის ვაჟკაცობის დიადი დროშა
და უკვდავების ჩირაღდანი — ჩაუქრობელი.

შუქია

იყავ უებრო, უნაზესი მშვენებით სრული,
დიდებულ აშოტ კურაპალატს რის შეუყვარდი,
მაგრამ დაგიზრო ბოროტებამ ოცნების ვარდი,
და არ გაღირსა ნეტარება და სიხარული.

მეფეს სწამლავდა გურანდუხტი, ამაყი სული,
მისი სიცოცხლის სიმძიმილი, მიზეზი დარდის,
შენში ჰხედავდა იგი ქალურ მშვენებას, ნამდვილს,
და მგზნებარე გულს უთრთოლებდა ცეცხლი ფარული.

არ დაგანებეს სიყვარული ქრისტეს სახელით,
იხილეს შენში მისი მცნების გადამლახველი,
და სამუდამო ბინად მოგცეს დილეგი მრუმე.

იქ, ობლობაში, აღამებდი დღეებს წვალებით,
ვიდრე ჩაგიქრა ბრწყინვალება მწველი თვალების
და ნაზი გული გაგიყინა სიკვდილის ჰუნემ.

დიმიტრი ჯანელიძე

დავით გურამიშვილი და სახიობა

ქართული სანახაობრივი ხელოვნებიდან მე-17-18 საუკუნეში სახიობა გამოირჩეოდა. იგი ორგვარი იყო—„სალხინო“ და „გლოვის“. სალხინო სახიობა შეიცავდა ხმიერ და საკრავიერ მუსიკას—გალობას, დასდებელს (ხმიერით შესხმა-ქებას), საკრავ აყოლებულ სიმღერას, მგოსნების ლექსის მთქმელობას, მოშაირობას, ზმობას, გამოცანების გამოთქმასა და ამოხსნას. ნადიმობისას სახიობის მჭვრეტელთ ართობდათ და ახალისებდათ ქალ-ვაჟთა მწყობრის ფერხული, სამა, შუშპარი, ცეკვა, კოჭა, ბუქნა და სხვ. მნახველთ სასაპარეზოდ აღაგზნებდა მუშაითების საარაკო სიმარჯვე და ფალავნების შერკინება.

სახიობის დამკვრელთა მწყობრი უკრავდა ძალებიან (მოზადვით ძალთსაცემელ, ჩამოსაკრავ, შვილდაკიან), ჩასაბერ, საჩხარუნებელ, ეღარუნა და საცემელ საკრავებზე. სახიობაში შესასრულებელი ნაწარმოების ავტორიც და მისი მთავარი შემსრულებელიც მგოსანი იყო. საფიქრებელია, რომ ისინი მეტწილად გაბაასების ჟანრის ნაწარმოებებს ასრულებდნენ. თეიმურაზ პირველის (1589-1663) თქმით „მკრეხნი, მთქმელნი და რიტორნი, მგოსანი, მოშაითენი „ვარდ-ბულბულს“ გაიძახან ყოველი სული იმთენი“.

მე-17 და მე-18 საუკუნეების მიჯნაზე სანახაობითს ხელოვნებას, ერთის მხრივ „გათათრება“ მოელოდა, ხოლო მეორეს მხრივ ეკლესიისაგან აკრძალვა-ალკვეთა ემუქრებოდა.

ძველ ქართულ სახიობას ქომაგად და მფარველად მოევლინა ვახტანგ მეექვსის (1675-1737) კარზე თავმოყრილ ხელოვანთა წრე, რომელიც არჩილის რეალისტური და პატრიოტული მიმართულების გამგრძობი აღმოჩნდა. საფიქრებელია ამ წრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის პოეტ დავით გურამიშვილის მონაწილეობა სახიობის განახლებაში. „დავითიანი“ ამ მხრივაც მეტად საინტერესო მასალას შეიცავს.

ლეკთა ტყვეობისაგან თავდაღწეულ დ. გურამიშვილს ვახტანგ მეექვსის კარზე მოსკოვში მშობლიური სანახაობა-გასართობი დაუხვდა. პოეტი გადმოგვცემს: „კარგი იყვის აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა და ზმაშაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“. თუ გავიხსენებთ მე-17-18 საუკუნის სამეფო კარის სახიობის ტრადიციულ წყობას და შინაარსს (შაირობა, გალობა, მგოსნების სიმღერა დამკვრელთა მწყობრის აკომპანიმენტით და მუშაითების თამაში) და მას შევადარებთ დავით გურამიშვილის მიერ ჩამოთვლილ სანახაობებს, დავრწმუნდებით, რომ ვახტანგ მეექვსეს მოსკოვში ჩაუტანია ქართული სახიობა და ამნაირად, რუსეთში მე-18 საუკუნის 30-იან წლებში არსებულა ქართული სანახაობრივი კულტურის მნიშვნელოვანი კერა.

დავით გურამიშვილი ამასთან გვამცნობს: „ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა, პირად მქლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა. რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის, ვით ნარცეცხლა უკან კუდსა. და ბევრჯერ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“. ამ გადმონაცემიდან აშკარად ჩანს დავით გურამიშვილის მონაწილეობა სახიობის ერთ-ერთ მთავარ ჟანრში—შაირობაში. ვახტანგ მეექვსის კარის სახიობას მოსკოვში ჰყოლია მოშაირე ჯავახიშვილი, რომელიც მეტად ცუდი გარეგნობისა ყოფილა და რომელიც სასტიკად დაუმარცხებია დავით გურამიშვილს.

დავით გურამიშვილი მონაწილეობას იღებდა თურმე სახიობის სხვა ჟანრშიც, სახელდობრ ზმობაში. შობა-დღეს გამართულ სახიობაში პოეტი ასეთი ზმით გამოსულა: „მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვი (შობა). ნუ მოგიშალოს ნადიმი მუდამ-დღეთ სულ მეჯლი (შობა)“. დავით გურამიშვილი ამასთან მსურველთ ზმობაში (ზმის მუნასიბად გამოთქმისა და ამოხსნის შეჯიბრებაში) იწვევდა: „(მოგვენი/ჭა ღმერთმან ძე თვისი და იშვა დღეს უშობელი, რ/ქვა ბი/ნდის ფერად მცნობელნო, მიცანით მე უცნობელი)“ ერთ-ერთ ზმიან შაირს პოეტი შემდეგ შენიშვნას ურთავს: „ერთმა ქართველმა თავადის-შვილმა მოსკოვს ქორწილი ქნა და ცოტად მდიდს პურის უჭმელს დიუგვიანდა; აგრეევ მანამდის ქორწილს იქმ-და, ორს დაბალ აზნაურთან იდგა ფსონთა და იმათზე მეტსა ხარჯავდა, იმის მონასხბად თქმული“. ამისდა მიხედვით საგულისხმებელია დავით გურამიშვილის მონაწილეობა საქორწილო სახიობაშიაც.

ერთ-ერთ ზმიან გამოცანაში პოეტს ნათქვამი აქვს: „ამას არ ავხსნი, სანამდის მ. სოფელს არ მიქადებენ“. ზმის მთქმელი ამით მოითხოვს სალექსოს, გასამრჯელოს: ზმა-გამოცანას არ ავხსნი, სანამ სალექსოდ სოფელს არ დამპირდებითო. დ. გურამიშვილი აქაც სახიობის მონაწილეთა წეს-ჩვეულების მიხედვით იქცევა. ხალხური გადმოცემით ხუმარა ბეშტიას სოლომონ მეფისთვის მიუმართავს: „ერთი ბრეთი, არადეთი, რუისი და შაქარშვეთი, გორს წისქვილი, ატოცს ჯვარი.. ღმერთმა დაგიწეროს ჯვარი. გადმოცემგდე იტრიაო, ვითომ ერთი კიტრიაო“. ამით ბეშტიამ სოფელი იტრია მოითხოვა. ხალხს შეუნიშნავი არ დარჩენია სახიობის მონაწილეთა მიერ დიდი გასამრჯელოს მოთხოვნა და ლექსად თქმული ანდაზად გადაუქცევია: „ხარბად ნუ ითხოვ ხმოსანი, მეტრიბი ხარ თუ მგოსანი“. ერთ-ერთი ზმიანი შაირის მინაწერში პოეტი გვაცნობს: „ერთ დღეს ბატონებმა (იგულისხმება ვახტანგ მეექვსე და მისი შვილი ბაქარი) დავით გურამის-შვილს ხალათის ბოძება განიძრახეს, იმის მონასიბად თქმული“. სახიობის მონაწილეთა ხალათით დაჯილდოვებაც იმ დროის წეს-ჩვეულება, რაც ჩანს სულხან-საბა ორბელიანისა და თეიმურაზ მეორის მიერ სანახაობათა აღწერილობიდან და რასაც ადასტურებენ ერეკლე მეორის სასახლის კარის საზანდრის საიათნოვას და ხუმარას ოთარ ნორიელის სიტყვები. რაკი ზმიანი შაირით სახიობაში მონაწილე დავით გურამიშვილს გაუგია, რომ ბატონებმა მისთვის ხალათის ბოძება განიზრახეს, ცდილობდა ორლესული ზმით მწყალობელი უფრო მეტად გულუხვი გახადოს: „სიუხვის კ.ო (კა ბა)ტონსა წინ უდგას, ვითა კულადა, ი (ქ უდი) ს მოწყალებანი ღარიბთა გასაკურნადა; (ახალ უხი) ლავს, ძველთ მძლელთა გულს არ გაუხდის წყლურადა. ა(ქ ათი ბი) ჰი გახლავართ, მარტო მე გულნაკლულადა“. ეს მცირე ცნობებიც ცხადჰყოფენ დავით გურამიშვილის ზმობაში ცხოველ მონაწილეობას.

ახლა საკითხავია, ამით ამოიწურა პოეტის მონაწილეობა სახიობაში, თუ მან რაიმე წვლილი შეიტანა სახიობის გალობასა და სიმღერაში? ამ მხრივაც პოეტის ნაწერებში საინტერესო მასალას ვეცნობით. განსაკუთრებით საყურადღებოა დავით გურამიშვილის ლექსების შემდეგი მინაწერები: 1) „ხარებობის დღის შესხმა: „ახა წმინდა კოპალეს სანაცვლოდ სამღერელი“, 2) სიმღერა დავითის შესხმა „ჩემო ყურშაოს“ სანაცვლოდ, 3) „სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა, ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სიმღერად — „ეეო, მეო, ქალო, ქალთამზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“, 4) „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცვლოდ სათქმელი“, 5) „სიმღერა ფერხისული „აგერ მიომარ ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“, 6) „დინარი (საზანდრული) „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერელი“, 7) აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერელი, 8) გალობა „მამავ, შენი ძეო“, 9) გალობა „მჭმეო მსმეო“, 10) „უცხოთ ნახვის შიშით მუხლიმოკრის დროს დავითის ლოცვა და გალობა“ და სხვ.

ყველა ამის მიხედვით ირკვევა: დავით გურამიშვილს ხელი მიუყვია ძველი ქართული სიმღერების განახლებისათვის. პოეტი უცვლელად სტოვებდა სიმღერის ჰანგს და სთხზავდა ძველი სიტყვების სანაცვლო ტექსტს. დავით გურამიშვილს შეურჩევია უძველესი ქართული ჰანგები, წარმართული ჰიმნები, ამირანის ციკლის სიმღერები და საფერხულო შესრულების მოტივები. ცხადია, პოეტს არ გამოეპარებოდა ის გარემოება, რომ ძველი ქართული ხალხური სიმღერები დავიწყებას ეძლეოდნენ, ერთის მხრივ, წარმართობის ნაშთებთან ქრისტიანული ეკლესიის განუწყვეტელი ბრძოლის ვითარებაში, ხოლო მეორის მხრივ — მუსულმანურ-მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებათა გავრცელების პირობებში. დავით გურამიშვილს კარგად უნდა სცოდნოდა ხალხური მელოდიების ფასი და ამიტომაც პოეტი მოწადინებული იქნებოდა გადაერჩინა ხალხური ჰანგები მათი წარმართული ტექსტის შენაცვლებით. პოეტი მართლაც ასე იქცევა. ძველ ჰანგებს ინარჩუნებს მათთვის „სანაცვლო“ ქრისტიანული ტექსტის შეთხზვით.

(დასასრული იქნება)

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ქართველები ბრძოლის ველზე

II. ძმადნაფიცები

ეს დაუვიწყარი ბრძოლა აზოვის ზღვასთან მოხდა, მეთევზეთა სოფელში — კალაბატკაში.

* * *

წარმოსადეგი, ორმაგად ნაქსოვი კახელი ალექსანდრე ქიტიაშვილი მძიმე კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როდესაც ფრონტზე დროებითი სიწყნარე ჩამოვარდებოდა, მაშინ ამ უბადლო მეტყვიამფრქვევეს სიარულიც, სიტყვა-პასუხიც, უბრალო გამოხედვაც-კი ისეთი ჰქონდა, თითქოს რაიმე მოსაწყენ საქმეს აკეთებდა.

უმოქმედობა მძიმე ტვირთად აწვა დიდი გაქანების ვაჟკაცს.

მისი ნამდვილი ცხოვრება ცეცხლის ხაზზე იყო.

როგორ გარდაიქმნებოდა მაშინ ალექსანდრე ქიტიაშვილი! დიდრონ წაბლისფერ თვალებში ავი და მოუსვენარი სხივი ჩაუდგებოდა. ხელებში ცეცხლი ეკიდებოდა. მისი დაძაგრული კუნთები თითქოს ასხლეტას ლამობდნენ.

„აბა, გამახარე, ჩემო ლამაზო ხოხობო, ჩემო მზეთუნახავო! — ეფერებოდა იგი თავის ტყვიამფრქვევს და მისი თავაწყვეტილი ყიჟინა თერგის ქვიშნარებს ეფინებოდა, როგორც სროლის გამოძახილი.

იგი სცოცხლობდა, იზრდებოდა, მწიფდებოდა, როგორც მეომარი, იერიშის ალმაფრენაში და ხიფათის უეცარ კლანჭებში, დამარცხებისა და გამარჯვების ცვალებად წუთებში, შურისძიების სიტკბოში და უკუღმართ შემთხვევის სიმწარეში.

იგი საშიშარი მოპირდაპირე იყო მტრისათვის.

...ქიტიაშვილის თანამოლაშქრე გერვასი ცხოვრებაძე მუდამ ერთნაირი იყო ბრძოლაში და ბრძოლის გარეთაც, — ჩუმი და მშვიდი.

სანდომიან სახეს კეთილი ღიმილი უმშვენებდა, — კარგი ქართველის ღიმილი.

ამხანაგებში გულადი კაცის სახელი დაიგდო. ბევრის მნახველი და ბევრის ამტანი მეტყვიამფრქვევე ყველას უყვარდა, მეტადრე ახალბედა მებრძოლებს.

რარიგ ამხნევებდა ცეცხლში პირველად შესულ მებრძოლს გერვასი ცხოვრებაძის აუღელვებელი, გულდაჯერებული მოქმედება!

განა მარტო მოქმედება!

მისი ნათელი, მუდამ გაპარსული პირისახე, ლამაზად გადავარცხნილი ქოჩორი, კოხტად მორგებული ტანისამოსი ერთბაშად ამშვიდებდა, პირველი შიშის გადატანას უადვილებდა გამოუცდელს და ბუდიდან ამოვარდნილ ადამიანს.

რაგინდ ფიცხელი ბრძოლა ყოფილიყო, იგი ისე მშვიდად, დაჩვეულად მიუჯდებოდა მრისხანე ტყვიამფრქვევს, როგორც ერთდროს თავის უწყინარ გუთანს მოეკიდებოდა.

ოცდაორმა ივნისმა მასაც შეუცვალა ცხოვრების მდინარება. პირველად მასაც გაუჭირდა სისხლის კვალზე სიარული:

მისმა ალალმა გულმა ბევრი ისეთი რამ გამოიყოლა შინიდან, რაც ომის კაცისათვის გამოუსადეგარი იყო.

მაგრამ სამამულო ომმა გერვასი ცხოვრებაძეს მალე ასწავლა ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტრისადმი სიძულვილი.

ამ ყოვლის-შემძლე გრძნობამ თავის-თავად ჩამოაშორა მას ყველაფერი ზედმეტი და ხელის-შემშლელი.

ეხლა რასაც აკეთებდა, მკვიდრად და ბეჯითად აკეთებდა, რადგან იცოდა, — ომის ძნელი და ორპირი გზები მისი კაცობის სარბიელი იყო.

ძმადნაფიცმა ვაჟკაცებმა ერთად გაიარეს ბრძოლების აღმართ-დაღმართი თერგის ველებიდან აზოვის ლიმანებამდე.

* * *

ოცდაორ თებერვალს, გათენებისას, მეთევზეთა პატარა სოფელს გერმანელთა თვრამეტი ტანკი შემოადგა. ერთი მუჭა ქართველები მედგრად დახვდნენ ამ უეცარ თავდასხმას. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა.

ალექსანდრე ქიტიაშვილი და გერვასი ცხოვრებაძე სოფლის გასადევარზე საცეცხლე ბუდეს აკეთებდნენ, როდესაც ავბედი გრუხუნი გაიგონეს. დაუთავრებელ სანგრისაკენ ხუთი ონავარი ტანკი მოჰქროდა. ისინი გვერდიდან უვლიდნენ სოფელს, რომ შუაზე გაეპოთ და წაელეკათ ქართველთა საომარი წყობა.

გრანატები და ჯავშანმჭრელი ვაზნები წუხანდელ ბრძოლაში გაუთავდა ქიტიაშვილს.

ამიტომ ეხლა ძნელი და არა აუცილებელი იყო ამ ადგილზე დარჩენა.

თავშესაფარი უნდა მონახონ სადმე, საიმედო თავშესაფარი, რომ სახიფათო ბრძოლა უფრო მოსახერხებელი გახდეს მათთვის.

უბრალო ვაზნები ვერას ავნებენ ტანკების ჯავშანს, მაგრამ იქნებ რომელიმე იღბლიანმა ტყვიამ ტანკის სათვალთვალო ჭუჭრუტანას მიაგნოს!

და ისინიც ხელად მოემზადნენ მარჯვე ზღუდეზე გადასასვლელად, რომ უეცრად თვალი შეასწრეს მუხლზე ავტომატ-მიბჯენილ გერმანელებს. ისინი მგლურად მოძუნძულებდნენ ტანკების კვალდაკვალ.

ქართველები შედგნენ... თვალებში შეხედნენ ერთმანეთს... ასჯერ ნაცადი გული ერთხელ კიდევ გაუსინჯეს ერთიმეორეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ეხლა მეგობრებს ერთი-და-იგივე ურიდი აზრი ასულდგმულებდა, სანგარში პირქვე დაემხნენ და გაინაბნენ.

ტანკების გრუხუნი გაძლიერდა.

აგერ ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ჯიქურ მოადგა დაუმთავრებელ სანგარს.

ქიტიაშვილმა და ცხოვრებაძემ მთელი ძალღონე მოიკრიბეს, რომ ყოველი ნაკვთით, ყოველი კუნთით მიწას დაკვდომოდნენ.

ერთბაშად სანგარში ჩამობნელდა... პირველმა ტანკმა თავზე გადაუქროლა გულმაგარ ქართველებს. ისინი არც შერხეულან.

მეორე ტანკმა სანგრის-პირი ჩამოგლიჯა... ღრაჭუნა მუხლუხი ბეწვზე ასცილდა მიწაში ჩაბეჭდილ მებრძოლებს. ამასაც გაუძლეს მათმა რკინის ძარღვებმა;

უკანასკნელმა ტანკმაც გადაიარა...

ქიტიაშვილი და ცხოვრებაძე ფეხზე წამოიჭრნენ, ტყვიამფრქვევს მივარდნენ და ისევ გაისმა კახელის ყიჟინა: გამახარე, ჩემო ხოხობო! ჩემო მზეთუნახავო!

სასტიკად დარიეს ხელი ტანკების კვალზე მომავალ ფაშისტებს. თვალის დახამხამებაზე ოცდათვრამეტ მეავტომატეს სიცოცხლე მოუსწრაფეს.

გერმანელები კინაღამ გაგიჟდნენ, როდესაც მათი ტანკების ზურგში ჩვენი ტყვიამფრქვევი დაინახეს. ისინი მყისვე ლელიანში შეცვივდნენ და მიწას გაეკრნენ. ცეცხლის ალში გახვიეს პატარა სანგარი.

ქართველებმა სროლა შეანელეს; ერთხანს კანტი-კუნტად ისროდნენ, მერე სულ გაჩუმდნენ, თითქოს ვეღარ გაუმკლავდნენო მომძლავრებულ მტერს.

ფაშისტები მოსტყუვდნენ: ისინი წამოდგნენ, რომ დაწინაურებულ ტანკებს მიჰყოლოდნენ. ყველაზე მარდი და თავგამოდებული ჯარისკაცები სწრაფად მოცელა ქიტიაშვილის „ხოხობმა“. დანარჩენები მეორედ ჩაწვნენ.

მცირეხნის შემდეგ ცხოვრებაძემ შენიშნა, რომ ლელიანი ფრთხილად შეირხა ერთგან.

იგი ვერ ხედავდა, ვინ არხევდა ლელიანს, მაგრამ ეტყობოდა, რომელიღაც თავზეხელაღებული გერმანელი დამშრალ არხისაკენ მიხოხავდა, — ზურგიდან ეპარებოდა საბჭოთა მებრძოლებს.

ცხოვრებაძემ თოფი შემართა.

არხსა და ლელიანს შუა პატარა მინდორი მოსჩანდა, ჩალაბულათი მოფენილი და საგანგებოდ დაბეკნილი. კალო თუ იყო შარშანდელი.

არც ბორცვი, არც შამბი, — ღორღის ნაშალიც არსად ეყარა, რომ კაცი რამეს შეხამებოდა.

ცხოვრებაძემ ამ გაშლილ მინდორზე გამოუყვანა წირვა ლელიანიდან გამოცურებულ გერმანელს.

გაცოფებული ფაშისტები მსხვერპლს აღარ მოერიდნენ. ეხლა ხუთი ჯარისკაცი გაგზავნეს საბედისწერო არხისაკენ. ესენი უფრო გაბედულად და მოხერხებულად მოიქცნენ: ლელიანიდან რომ გამოხოხდნენ, მაშინვე წამოხტნენ და შავად დაღრენილ არხის ნაპირებს მიაწყდნენ.

მხოლოდ ორ-მათგანს დაეწია გერვასი ცხოვრებაძის თოფი. დანარჩენები არხში ჩაცვივდნენ.

საქმე გართულდა. ეხლა ეს სამი გერმანელი უფრო საშიში იყო, ვიდრე ისინი, — ასი თუ ასოცი მეავტომატე, რომლებიც ლელიანში იმალებოდნენ.

ისინი ვერ ბედავდნენ იერიშის განახლებას; სამაგიეროდ არხში ჩასული გერმანელები გამამაგებულნი მოიწევდნენ ქართველთა დაფლეთილ სანგრისაკენ.

გერვასი ცხოვრებაძეს უკვე ესმოდა ზათი ფეხის ხმა და გულამოვარდნილი ქოშინი... მაგრამ რა ძალა ჰქონდა! არხიდან მომავალ ხიფათს მისი თოფი ვერსაიდან ვერ მიუდგებოდა. ...გრანატის სატყორცნ მანძილზე თავისუფლად მოგვიახლოვდებიან... მიწასთან გაგვასწორებენ!

არა! ტყვიამფრქვევმა უნდა იცოცხლოს. რაც შეიძლება დიდხანს უნდა იცოცხლოს. უნდა იცოცხლოს, რომ გერმანელებმა ვეღარ შესძლონ ტანკებთან შეერთება; ვეღარ შესძლონ ტანკების იერიშის მხარდაჭერა!

გერვასი ცხოვრებაძემ შინელი გაიხადა, თოფზე ჩამოცმული ხიშტი მოსინჯა და სანგრიდან ამოვიდა.

ნეტა თუ მაშინაც ისეთივე ჩუმი და მშვიდი იყო, როგორც ყოველთვის!

ალბათ.

მისმა ხიშტმა არხის თავზე გაიელვა და გაჰქრა. მერე იმ არხიდან აღარავინ ამოსულა, — არც მტერი და არც მოყვარე.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს ძმადნაფიცი ქართველები, რომ შემდეგ, ხალხის გულში სამუდამოდ შეყრილიყვნენ, როგორც ხალხის დიდება და უკვდავება.

მარტოდ დარჩენილი ქიტიაშვილი არც ეხლა გაერიდა უთანასწორო ბრძოლას. სანამ საომარი მასალა დაელეოდა, დაუცხრომელი მეტყვიამფრქვევე სულმოუთქმელად „ვარცხნიდა“ ლელიანს...

უჯაროდ დარჩენილმა ტანკებმა ფეხი ვეღარსად მოიკიდეს, ვერც სოფელში დამაგრდნენ და უკანვე გამობრუნდნენ.

...ნაშუადღევს ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა კვლავ დაიკავეს კალაბატკა. სოფლის გასადევარზე ორმოცდაშვიდი მოკლული დათვალეს. მოკლულებს შორის მხოლოდ ორი იყო საბჭოთა მებრძოლი. ალექსანდრე ქიტიაშვილს გრუზათმიანი თავი „ხოხობის“ ფრთაზე ჩამოედო... თითქოს ეძინა.

ვაჟკაცის ცხედართან ათასხუთასი დაცლილი ვაზნა ეგდო, როგორც ათასხუთასი რკინის ყვავილი.

III. ცისფერ ხაზთან

გერმანელებმა „ცისფერი ხაზი“ უწოდეს შავი ზღვიდან აზოვის ზღვამდე, — ყუბანის ლიმანებსა და მთაგორებზე აგებულ თავდაცვის ზღუდეს.

ცისფერი უწოდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი თავდაცვის ხაზი ტბებსა და ლიმანებს გასდევდა... ამ სახელწოდებას მეორე მნიშვნელობაც ჰქონდა.

ცისფერი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც იმედისა და მშვიდობის ფერი. გერმანელთა სარდლობა იმედოვნებდა, რომ ისინიც მშვიდობიანად გამოიზამთრებდნენ ყუბანის სოფლებსა და ქალაქებში და გაზაფხულზე ისევ შეუტევდნენ კავკასიონს, რომელმაც შარშან მაგრა გაუტეხა შუბლი ფაშისტ მტაცებლებს.

გერმანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი „ცისფერი ხაზი“ შეუვალი იქნებოდა საბჭოთა ჯარებისათვის. ვაკე ყუბანში კეთილი ცხოვრების მოწყობას შეუდგნენ: ადგილობრივ მცხოვრებლებს დანგრეული სახლები შეაკეთებინეს, საზამთროდ შეშა მოიმარაგეს და ზოგან გერმანული ღუმელებიც დადგეს; მერე სალოთრო ჩანთები გახსნეს და ახლად შელესილ კედლებზე ცოლებისა და საყვარლების სურათები ჩამოჰკიდეს.

მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“.

ოქტომბრის დამდეგს მათი „იმედისა და მშვიდობის“ მომასწავებელ „ცისფერ ხაზს“ სიკვდილის ფერი დაედო.

საბჭოთა არტილერისტებმა ისე გაუხსნეს „ცისფერი ხაზი“, რომ მისი დამცველების უსულო გვამების გარდა, აღარაფერი დასტოვეს იმ არემარეზე.

გირლიანის გამაგრებული მთაგორები „ცისფერი ხაზის“ ერთ-ერთ უძლიერეს კვანძად ითვლებოდა ტამანის ნახევარ-კუნძულზე. ყოველი ბლინდაჟი და ძელმიწური, ყოველი თხრილი და სანგარი ერთიან საცეცხლე სისტემაში იყო მოქცეული. ამიტომ ჩვენი ქვეითების იერიშს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოჰყვებოდა სასურველი შედეგი, თუ ამ საცეცხლე სისტემის რომელიმე უბანს მთლიანად მოსპობდნენ საბჭოთა არტილერისტები.

ერთი და ორი ბლინდაჟის დანგრევა გზას ვერ გაუკვალავდა გირლიანის მთაზე მოიერიშე მებრძოლებს. საჭირო იყო, ერთბაშად მოგვეშალა გერმანელთა თავდაცვის კომბინირებული სისტემა.

ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას მხოლოდ გაბედული ადამიანები შესძლებდნენ, — რკინის გულისა და გამჭრიახი გონების ადამიანები, რომლებიც მუდამ უეჭველზე მიდიოდნენ და ყოველგვარ სათუო წამოწყებას ნაღდი ანგარიშის საქმედ აქცევდნენ.

სახელმოხვეჭილმა ქართველმა ოფიცერმა, სუვოროვის ორდენის კავალერმა გიორგი ყურაშვილმა ბევრი ასეთი მეომარი აღზარდა სამამულო ომის ქარცეცხლში. მცოდნე და მომთხოვნი მეთაურის ხელში ისინი დავაჟკაცდნენ, შემოწიფდნენ, როგორც ბრძოლის მოგების ოსტატები.

თავად ვაჟკაცმა და გაბედულმა ყურაშვილმა საბრძოლო დაზვერვის მუშაობასაც ვაჟკაცური სული ჩაუდგა. რამდენჯერ მოითარეშეს ვალერიან ჯაყელისა და შალვა დოლიძის მებრძოლებმა გერმანელთა თავდაცვის წინა-კიდე, რომ გირლიანის მთაგორების საიდუმლოება გამოეცნოთ.

ხან ნეშოს გროვად, ხან გამხმარ კუნძად ქცეული წითელარმიელი გიორგი მათიაშვილი ხშირად გათენებიდან დაბინდებამდე გერმანელთა თვალწინ იწვა და სახვალიო ბრძოლებისათვის ფასდაუდებელ ცნობებს აგროვებდა. აჭარელი აბდულა წულუკიძე სტანიცა თამაზოვსკთან სამი დღე-ღამე ნამქერში იმალებოდა, რომ ფაშისტების ბატარიები ამოეჩინა. შიმშილიც მოიჭირვა, ყინვასაც გაუძლო და გზადაგზა რამდენიმე „წვრილმანი“ საქმეც მოაგვარა: ყორღანზე ორი გერმანელი უხმოდ მოჰკლა და ბატარიებს მრავალ ადგილას ტელეფონის ხაზი გადაუჭრა. ერთხელ მან შენიშნა: როდესაც ჩვენი ზარბაზნები მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეს დაუშენდნენ, გერმანელი ჯარისკაცები სანგრებსა და თხრილებს სტოვებდნენ და საგანგებოდ მოწყობილ თავშესაფრებში გადარბოდნენ. მოხერხებულმა აბდულამ ახალი საქმე გაიჩინა: ორი-სამი მარჯვე მსროლელის თანხლებით იგი ახლო მიეპარებოდა გერმანელთა სანგრებს და მონადირის დაუღალავი მოთმინებით ელოდა, როდის დაიწყებდნენ ფრიცები გადარბენას.

ქართველების თოფი უტყუარი იყო.

ასე გაულეტა გრიშა ბასილაშვილმა თორმეტი გერმანელი, ფილიპე ფოცხვერიამ — შვიდი; შაქრო მირიანაშვილმა — ექვსი; თვითონ აბდულამ თერთმეტი.

სუვოროვო-ჩერკასკაიასთან, ფაშისტების რკალში მოქცეული მზვერავი ოფიცერი მამონტი კვარაცხელია წარბშეუხრელად იდგა ყუმბარებისა და ნაღმებისაგან ადუღებულ მიწაზე და ჩვენი ზარბაზნების სროლას აკორექტირებდა.

გერმანელები ხან დატყვევებას უპირებდნენ უშიშარ მზვერავს, ხან, გამწარებულნი, ყოველ მხრიდან გრანატებს აყრიდნენ, რომ დაელეწათ მისი პატარა თავშესაფარი. იგი დასჭრეს, მეკავშირე მოუკლეს; გარშემორტყმული, მარტოდ დარჩენილი კვარაცხელია აღუშფოთებლად განაგრძობდა თავის ძნელსა და სახიფათო საქმეს. დროდადრო აპარატს გვერდზე გადადებდა, რომ რომელიმე ახლო მოხოხებულ გერმანელთან ანგარიში გაესწორებინა; მერე ისევ მიჰქონდა მავთულს მისი მშვიდი ხმა.

ზოგი ჩვენი მეთვალყურე ისე ახლო დაბინავდებოდა ფაშისტების თავდაცვის წინა-კიდესთან, თითქოს უჩინ-მაჩინის ქუდი ეხურა. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა გერმანელი ჯარისკაცისა, ერთი გასროლის კვამლი, ერთი უცაბედად შერხეული ბუჩქი რამდენ რამეს ეტყოდა გამოცდილ მზვერავს!

გიორგი ყურაშვილის დაულეველი მხნეობა და ენერგია დუღდა და გადმოდიოდა ყოველ საქმეში. შარშანდელი ჭრილობა ჯერაც არ მოშუშებოდა, მაგრამ რომელი ფეხმარდი მზვერავი გაუტოლდებოდა ნაბიჯს ამ დაუცხრომელ ადამიანს, როდესაც იგი მტრისაგან დანაღმულ ბილიკებზე და ვენახებში საბრძოლო დაზვერვის რჩეულ ვაჟკაცებს მიუძღვებოდა. რისკი და ანგარიში, სიფრთხილე და გაბედულება მისი საომარი მოქმედების განუყრელი თანამგზავრები იყვნენ.

მისი საბრძოლო რუკა ზუსტად აღნიშნავდა ყოველ ხევსა და მაღლობს, ღელეს და ლელიანს, — სად რა დაბრკოლება შეხვდებოდა მებრძოლს, სად რა ხელსაყრელი ზღუდე, მაგრამ განა რუკა ყველაფერს დაიტევდა? ამიტომ ყურაშვილს წესად ჰქონდა, — იერიშის დაწყებამდე საკუთარი თვალით ენახა, გაესინჯა, შეესწავლა ბრძოლის მომავალი ასპარეზი.

აგერ, გორაკზე შეფენილ ვენახს ვიწრო ღარტაფი გასდევს. ამგვარ წვრილმანს რუკა ვერ განიშნებს. მას მხოლოდ კაცის თვალი მოსძებნის. ასეთი წვრილმანი ბრძოლის ბედიღბალს გადასწყვეტს ზოგჯერ. ამ ღარტაფში ათიოდე ნაცადი მზვერავი რომ შეიპაროს, ისინი ადვილად შესძლებენ გორაკის გარემოცვას და გერმანელთა შენიღბული ქვემეხების დაჭერას. და ეს პატარა ღარტაფი უფრო აზუსტებდა, სიმტკიცეს მატებდა ყურაშვილის საომარ გეგმას.

ერთხელ გზად მიმავალმა მებრძოლმა თვალი მოატანა, რომ არავისი მინდორის მახლობლად, ხევის-პირზე ჩაყოლებულ ბუჩქებს ჰკნობის სიყვითლე შეპარვოდა, ალაგ-ალაგ ფოთოლიც გასცვენოდა.

გარშემო ყველაფერი მწვანე ალში იყო გახვეული; ძალუმად ფეთქდა მიწის მაჯა. ასეთივე ბუჩქები ჩინებულად ხარობდნენ აგერ იმ ფერდობზე, აგერ კიდევ სოფლის ბოლოში... მაშ ხევის-პირას რა ღმერთი გაუწყრათ, რომ ასე უდროოდ დასჭკნენ! რა იყო ეს: ბუნების ახირება თუ გერმანელის თვალთმაქცობა?

— რამე ისეთი რომ იყოს, უეჭველად მესროდნენ! ძალიან ახლო ჩავიარე ხევთან. უბრალო ამბავია, მეტი არაფერი! — განაცხადა მებრძოლმა, მაგრამ მზვერავებმა იცოდნენ, — ბრძოლის ველზე უბრალოდ არაფერი არა ხდებოდა.

— ერთი იყავ და იმიტომ არ გესროლეს. აბა, ასი და ორასი ყოფილიყავით!

და მართლაც, როდესაც საბრძოლო დაზვერვამ გამომწვევი სროლა აუტეხა ბუჩქებს, გაშიშვლებულმა ტოტებმა ცეცხლოვანი ფოთლები გამოისხეს. ხევის-პირას გერმანელთა ტყვიამფრქვევების ბუნაგი აღმოჩნდა. ბუჩქები თვალისასახვევად იყო დარგული.

დაუღალავად, მოსაზრებულად მოქმედებდნენ საბჭოთა მზვერავები, რომ სამგზის ორდენოსან არტილერისტს, ქრისტეფორე გაფრინდაშვილს კარგი ჰოსავალი მოემკო. მისმა ბატარიებმა შუაღამისას დაუშინეს გირლიანის მთაგორებს. ერთბაშად და გაბმულად ისროდნენ. ძნელად თუ გამოარჩევდა სმენა ცალკეული გასროლის ხმას. აცახცახებულ ღამეში ერთი განუწყვეტელი ქუხილი იდგა.

თუ რამდენად თავზარდამცემი და გამანადგურებელი იყო ჩვენი პირველი ცეცხლითი თავდასხმა, — კარგად დაგვისურათა სამმა გერმანელმა ჯარისკაცმა, რომლებიც იმ საშინელ ღამეს საბჭოთა ჯარების მხარეზე გადმოვიდნენ.

ეხლა ისინი მიწურში ისხდნენ. ერთი-მათგანი, ტანმორჩილი, ქერათმიანი ეფრეიტორი რუსულად გვარიანად ლაპარაკობდა.

ეკალ-ბარდებში ხოხვისაგან პირისახე დაკაწრული ჰქონდა. იდაყვებსა და მუხლისთავებზე ბალახის წვენი აჩნდა.

მან გვითხრა:

— ამბობენ, ორი სიკვდილი არ არსებობსო, — მაგრამ წუხელ ბევრი ჩემი ამხანაგი ორჯერ მოკვდა... ერთი სიკვდილი მაშინ იყო, ყველაზე საზარელი სიკვდილი, — სულიერი განადგურება, — როდესაც მთელი ჩვენი უბანი საბჭოთა ყუმბარების გაფანტვის ელიფსში მოხვდა. კაცის სახე დაჰკარგეს და როგორც პირუტყვები, როგორც გიჟები სანგრებიდან ამოცვივდნენ... უგონოდ აწყდებოდნენ ღობეყორეს, ბღაოდნენ, სანამ მეორე სიკვდილმა ამ ცოცხალ გვამებს ბოლო არ მოუღო. ძველი, გამოჯაგული ჯარისკაცებიც ვეღარ ჩერდებოდნენ სანგრებში. ბევრი დაყრუვდა, ბევრს ყურის ბარაბანი გაუსკდა და სისხლმა გადმოწვეთა... ასე ერთბაშად როგორ მოგვავლეს საბჭოთა არტილერისტებმა? ჩემი ბლინდაჟიდან მხოლოდ ერთი გადავრჩი ცოცხალი. ტყვეობა ვამჯობინე მეორე ასეთი ღამის მოლოდინს!..

სამნი წამოსულიყვნენ ტყვედ ჩასაბარებლად.

„—გზაში ჩხუბი მოგვივიდა, — ვამოტყდა ქერათმიანი! — ერთმა თავსატეხმა საკითხმა სული ამოგვხადა. ჭირის ოფლი გვადინა სამთავეს! ბევრი ვიდავეთ და ბევრი ცხარე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს!

რატომ? რა აღელვებდა ამ გერმანელ ჯარისკაცებს ტყვედ ჩაბარების უკანასკნელ წუთებში?

იქნებ გზაში რომელიმე მათგანმა სინანული გამოსთქვა, რომ ჰიტლერს გადაუდგა და უკან დაბრუნება მოისურვა?

— არა, — სწრაფად გვიპასუხა ქერათმიანმა: — ჰიტლერმა რა ისეთი სიკეთე მოგვცა, რომ მისი დაგმობა და უარყოფა გაგვძნელებოდა.

იქნებ რომელიმეს კიდევ სჯეროდა ჰიტლერის გამარჯვება და ეხლა სწუხდა, რომ ტყვეობაში მიდიოდა?

— არა, — გაიცინა ქერათმიანმა: — ომის ღმერთმა ჰიტლერს სამუდამოდ მოაშორა მწყალობელი [illegible]...

ან იქნებ ვინმეს საბჭოთა ტყვეობაში ყოფნა აშინებდა?

— არა... არც ეგ. ჩვენ არაერთხელ გაგვეგონა, რომ რუსები კარგად ეპყრობიან ტყვე-ჯარისკაცებს...

მაშ რა იყო მათი გულფიცხი კამათის საგანი?

ქერათმიანმა თივაზე წამოწოლილ ამხანაგებს გადახედა.

— მე ვამბობდი, ავტომატები გადავაგდოთ, თორემ ერთიც ვნახოთ, სადმე გორაკზე ჩასაფრებულმა რუსებმა შეგვნიშნეს. შეიარაღებულ გერმანელებს რომ დაგვინახავენ, სამტროდ მისულნი ვეგონებით... სროლას აგვიტეხენ, დაგვხოცავენ, სანამ ტყვედ ჩაბარებას მოვასწრებთ-მეთქი. ესენი მიმტკიცებდნენ, — უეჭველად თოფიარაღიანად უნდა ჩავბარდეთ, ასე უფრო მოეწონება რუსებსო! როგორც ხედავთ, ამათ დამძლიეს.

ვაშა და დიდება საბჭოთა არტილერიას, რომელიც გერმანელ ყაჩაღებს ასეთ საკითხზე აკამათებდა „ცისფერი ხაზის“ ნანგრევებზე!

IV. კაპიტანი შალვა დავითულიანი

ამ გმირი ქართველი ოფიცრის სახელს აღტაცებითა და პატივისცემით იმეორებს ანაპის ოთხას მეთოთხმეტე დივიზიის ყოველი მეთაური და წითელარმიელი.

ვისაც მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში დავითულიანის მჭექარე ხმა გაუგონია, ვისაც გერმანელთა თავდაცვის წინა-კიდეზე მისი ვეფხისებური კამარა უნახავს, იგი ამ ნახულსა და გაგონილს გულში ღრმად შეინახავს, როგორც ყველაზე ტკბილსა და ამაღელვებელ მოსაგონარს.

...აგერ სანიტარს ბრძოლის ველიდან დაჭრილი გამოჰყავს.

— ვისი ნაწილიდან ხარ?—მზრუნველად ეკითხება შემხვედრი მებრძოლი.

— დავითულიანის, — ამაყად უპასუხებს დაჭრილი და მისი დაღლილი, ფერმიხდილი პირისახე წამიერ იღიმება საყვარელი მეთაურის ხსენებაზე.

მებრძოლი ამაყობს, რადგან დავითულიანმა მხოლოდ წინსვლა და ბრძოლის მოგება ასწავლა მას.

ეხლა იგი დაჭრილი იყო, მაგრამ გამარჯვებული ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან: იგი გერმანელთა სანგარში იპოვნა სანიტარმა.

მრავალი ბრძოლა გადაიხადა დავითულიანის ქვეგანაყოფმა, მაგრამ არსად და არასდროს უკანდახევის სირცხვილი და სიმწარე არ განუცდია;

შალვა დავითულიანს, როგორც ბრძოლის ხელმძღვანელს, ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა:

იგი გაბედული იყო, როგორც ადამიანი, როგორც უბრალო რიგითი მებრძოლი; როდესაც საჭიროება მოითხოვდა, კაპიტანი მხარში ამოუდგებოდა თავის მეომრებს და ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვებოდა. მისმა პირადმა ვაჟკაცობამ ერთხორცად შეჰკრა მთელი ქვეგანაყოფი.

ამასთან ერთად იგი გაბედული იყო, როგორც ოფიცერი.

დავითულიანს შეეძლო სწრაფად გადაეწყვიტა რთული საბრძოლო ამოცანა: რაგინდ მძიმე და მოულოდნელი საომარი ვითარება უნდა შექმნილიყო ბრძოლის ველზე, — თუნდაც ბრძოლის დაწყების ყველა წინასწარი ვარაუდი გაწბილებოდა დავითულიანს გერმანელთა ამათუიმ უეცარი მანევრის გამო, იგი მაინც არ დაიბნეოდა, როგორც ოფიცერი,.. დამღუპველი ყოყმანი და პანიკა ვერ ეგუებოდა დავითულიანის ხასიათს.

გერმანელთა მოულოდნელ ფანდსა და მანევრს იგი სწრაფად დაუპირდაპირებდა ბრძოლის ახალ გეგმას. შეუძლებელს შესძლებდა დავითულიანის განსაცვიფრებელი გეში და ნებისყოფა.

ასე მოხდა სექტემბრის დამლევს სოფელ სუვოროვო-ჩერკასკაიას მაღლობებზე, სადაც ახალგაზრდა ოფიცერმა ხელიდან გამოჰგლიჯა გერმანელებს პირველხანად მათკენ გადახრილი ბრძოლის ბედი.

ანაპასთან დამარცხებული ფაშისტები სუვოროვო-ჩერკასკაიას მაღლობებზე გამაგრდნენ, შეშფოთებულმა მტერმა ყველაფერი იღონა, რომ ჩვენი წინსვლის ძარღვი გადაეჭრა. ერთადერთი გზატკეცილი გერმანელთა ხელში იყო, რამაც უზრუნველჰყო მათი ჯარისა და ტექნიკის სწრაფი გადაჯგუფება; ამიტომ ძალთა თანაფარდობის მხრივ მტერმა თვალსაჩინო უპირატესობა მოიპოვა. მაშინ დავითულიანის ქვეგანაყოფს დაევალა: ზღვისპირას გასულიყო და გერმანელთა მთავარ სიმაგრეს — გზატკეცილის დამცველ მაღლობს გვერდიდან დასცემოდა.

მისი უეცარი თავდასხმის ელდას ქვაში და ბეტონში ჩამჯდარი მტერი ბუდიდან უნდა ამოეგდო.

ამოცანა მეტად ძნელი იყო, მაგრამ დავითულიანიც ძნელი და ხიფათიანი ბრძოლებისათვის იყო დაბადებული.

შებინდებისას მებრძოლები ფრთხილად შეუდგნენ დასახული მანევრის განხორციელებას. მთვარე ადრე ამოვიდა. ეს კიდევ არაფერი. სექტემბრის ქათქათა მთვარეს გერმანელთა მზვერავი თვითმფრინავიც მიეშველა. „ფოკე-ვულფიდან“ ჩამოყრილი მაშხალები მიწას წარამარა აშუქებდნენ. ნემსი მოიძებოდა, ისე გაჩირაღდნებოდა უდაბური ზღვისპირი ხუთი-ექვსი წუთის განმავლობაში.

უხმოდ, წვეთ-წვეთად შეცურდნენ ქართველები ომის ფეხდანადგამ ვენახებში.

სანამ ცაში ონავარი მაშხალა ეკიდა, ისინი უძრავად იწვნენ ვაზების ძირში. მაშხალის ჩაქრობა და მათი გადარბენა ერთი იყო. ბაწარ-ალებით გადარბოდნენ რომ აღმოუჩენელ ნაღმებზე არავინ დაშავებულიყო.

ზღვისპირას რომ გავიდნენ, ციდან ისევ დაეშვა რამდენიმე მაშხალა. არამც-თუ საჭურველი, ყოველი უბრალო ნივთი, რომელსაც ბრწყინვა და ელვარება უყვარდა, კარგად შეახამეს ფრთხილად მომავალმა მებრძოლებმა. ამიტომ გერმანელმა მფრინავმა ვერ შენიშნა, რა ხდებოდა შუქდაფრქვეულ მიწაზე.

ქართველები შეუმჩნევლად შემოეწყვნენ მაღლობს...

გერმანელი, როგორც წესი, მუდამ კაურობს საბჭოთა მებრძოლთან პირისპირ შეხვედრას. რუსული ხიშტის დანახვას, მერე ისიც ღამიანში, ვერაფრად ეწყობა ფაშისტი ყაჩაღი.

ეხლაც შედრკნენ ისინი... მაღლობი თითქმის უბრძოლველად დასტოვეს და სოფელს მიაშურეს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ მაღლობის დატოვებას ჩვენი მთავარი ძალების შეტევა მოჰყვებოდა. მაშინ გერმანელებმა ყველაფერი გასწირეს და ბედის სასწორზე დადეს. მაღლობზე გატეხილ თავდაცვას მთელი რეზერვის ჯარი მიაშველეს. ამასაც აღარ დასჯერდნენ; მახლობელ უბნებიდან მეავტომატეთა რაზმები გამოიძახეს და კონტრიერიშზე გადმოვიდნენ.

ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მრავალრიცხოვანმა მტერმა მოახერხა დავითულიანის ქვეგანაყოფის გარემოცვა... მჭიდროთ შემოერტყა მტერი მაღლობზე შეფენილ ქართველებს.

გერმანელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ განსაცდელში ჩავარდნილი საბჭოთა მებრძოლები იმავე მხრიდან ეცდებოდნენ რკალის გარღვევას, საიდანაც მაღლობზე ამოვიდნენ; ან კიდევ ხელმარჯვნივ გაიჭრებოდნენ ჯაჭვისებრ გადაბმულ ყორღანებისაკენ... მხოლოდ ამ ორი გზით შეიძლებოდა უკანდახევა. ამიტომ ფაშისტებმა ვენახებსა და ყორღანებზე ძლიერი გადამღობი ცეცხლის კედელი შექმნეს; მიწის ყოველ ნაჭერს მდუღარე ფოლადი შემოავლეს. ყოველი ჭარგანა ბილიკი და მოშამბული ღარტაფი მეავტომატე ჯგუფებმა ჩაჰკეტეს.

დავითულიანს გული საგულეში ჰქონდა. უკანდახევა არც უფიქრია გაბედულ კაპიტანს: გერმანელთა საომარმა ღონისძიებამ მყისვე ანიშნა დავითულიანს, როგორ დასხლტომოდა გარემოცვის მარწუხებს. უკანდახევის მაგივრად, იგი წინ გაიჭრა, რადგან რკალის წინა-მხარე უფრო სუსტი იყო. როგორ იფიქრებდნენ ფაშისტები, რომ ალყაშემორტყმული, თითქოს განწირული დავითულიანი მათივე თავდაცვის სიღრმეში შეიჭრებოდა. ყველაფერი იანგარიშეს, მხოლოდ ის-კი, ვერა, რომ საბჭოთა მებრძოლები ამ ყოვლად „გაუგონარ“ ტაქტიკას მიმართავდნენ.

— მომყევით, ქართველებო, თქვენი მარჯვენის ჭირიმე!—დასძახა დავითულიანმა და მაღლობსაც უმალვე ხიშტების ბურძგი აეშალა...

თავზარდაცემულმა მტერმა მთელი თავისი ყურადღება ზურგში მოქცეულ დავითულიანზე გადაიტანა, რითაც ისარგებლეს მაიორ ქანთარიას დანარჩენმა ქვეგანაყოფებმა და სწრაფი შეტევა განავითარეს... შუადღისას სოფელი სუვოროვო-ჩერკასკაია ქართველების ხელში იყო.

გასულ ბრძოლებში, თერგის ქვიშნარებში და აზოვის ლიმანებში გმირულად იბრძოდა კაპიტანი შალვა დავითულიანი. მადლიერმა სამშობლომ სამი ორდენით დაუმშვენა მკერდი სტალინის დროშაზე შეფიცულ ვაჟკაცს.

— ხმელეთზე ვნახე, რა მარდი გაქცევა სცოდნიათ! ეხლა ზღვაზეც ვნახო, როგორი ცურვა იციან!—ამბობდა შალვა დავითულიანი და მუხლდაუსვენებლად მიერეკებოდა სისხლისაგან დაცლილ ფაშისტურ ურდოებს ქერჩის სრუტისაკენ, ზღვისაკენ, ჯანდაბისაკენ.

(„ლიტ. და ხელ.“ გვ. მე-3).

შალვა ბუაჩიძე

„ჟამთაბერის ასული“

წარსულის თემაზე დაწერილ დრამატურგიულ ნაწარმოებთა შორის მიხეილ ჯაფარიძის პიესას „ჟამთაბერის ასულს“ განცალკევებული ადგილი უჭირავს. ის, ვინც ამ პიესაში ისტორიულ პერსონაჟებს დაუწყებს ძებნას იმედ-გაცრუებული დარჩება. „ჟამთაბერის ასულში“ არ მოქმედებს არც ერთი ისტორიული პირი, პიესა არ აგვიწერს არც ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიხ. ჯაფარიძემ „ჟამთაბერის ასულში“ გამოიჩინა კარგი უნარი ისტორიული ეპოქის სურნელების, ხასიათების გადმოცემაში. ამ გზით დრამატურგმა მიაღწია საჭირო ილუზიას სინამდვილისა და ბუნებრიობისას. მ. ჯაფარიძეს შევყავართ თავისი გმირების განსაკუთრებულ სამყაროში მათი პირველ გამოჩენისთანავე. იგი საშუალებას არ გვაძლევს მივატოვოთ ეს სამყარო იმ დრომდე, სანამ წარმოთქმული არ იქნება უკანასკნელი რეპლიკა. სიტყვას ამ პიესაში პირველი ადგილი უჭირავს.

„ჟამთაბერის ასული“ კომედიაა, ნამდვილი კომედია, რომელსაც არ ეშინიან სერიოზული მდგომარეობებისა და სერიოზული თემისა. სიცილი იქ გააზრებულია, ჭკუამახვილობა შეცვლილი არ არის უბრალო ხუმრობით, რადგან ავტორი არა გრძნობს აუცილებლობას—მაინცდამაინც ყოველ წუთში აცინოს მკითხველი.

„ჟამთაბერის ასული“ ნამდვილად თეატრალური პიესაა. ეს თეატრალობა წარმოსდგება ყოფის მოხერხებული ასახვისაგან, იგი დამყარებულია ხასიათებზე და დრამატიულ კონფლიქტზე.

რა მიზანს ემსახურება მიხ. ჯაფარიძის ნაწარმოები, რა არის მისი მთავარი მოტივი?

ავტორს სურს გვითხრას რომ ქვეყნის მართვა-გაძღოლა ძნელი და რთული საქმეა. მას სურს გვიჩვენოს ხალხის მოამაგე, ქვეყნის ერთგული, მისთვის თავდადებული მეფე. მეფისთვის მთავარი არ იყო,—გვეუბნება დრამატურგი,—განახორციელოს ადმინისტრატიული ღონისძიებანი, — მთავარი ის იყო, რომ მას სულიერი სისპეტაკით, მორალური გრძნობით აღეჭურვა თავისი ქვეშევრდომნი, ხალხის მესვეურნი. „ჟამთაბერის ასულში“ გამოყვანილი მეფის გონიერებას მოწმობს ის, რომ მას მრჩევლებად ჰყავს ხალხის წარმომადგენლები.

პიესა დრამატურგიულად კარგად არის შეკრული. მონახულია კვანძი, მოქმედება მზარდი დაძაბულობით ვითარდება. პირველი მოქმედება თავდება იმით, რომ მეფე გადასწყვეტს, გადაიცვას უბრალო ტანისამოსი და ხალხში გავიდეს, რომ გაიგოს—რითი სუნთქავს მისი ერი, როგორ აფასებს იგი თავის მეფეს. მკითხველი ინტერესით მოელის, თუ რა მოჰყვება მეფის ამ გადაწყვეტილებას.

მეორე მოქმედების ბოლოს ინასკვება კავშირი ურთიერთისადმი მტრულად განწყობილ ორ ფეოდალს შორის: ჟამთაბერ წერეთელსა და ბარძიმ აბაშიძეს შორის. მეფემ მოისურვა მათი უფლებების შეზღუდვა, წაართვა ჟამთაბერს მეომარი მერაბი და იგი სარდლობის ღირსად სცნო. ჟამთაბერმა ამაში თავისი ღირსების შელახვა დაინახა: ვთქვათ, მერაბიო, მართლაც ღირსი იყო, მაინც არ უნდა გამიტოლოს იგი, თუ მე პატივს მცემს.

ბარძიმიც კვერს უკრავს ჟამთაბერს: საკმარისია რომელიმე შინაყმამ რისამე ნიჭი გამოიჩინოს და მეფე მყისვე გაგვიბატონებსო. აი ამ საფრთხემ შეაერთა მეფის წინააღმდეგ მოსისხლე მტრები—წერეთელი და აბაშიძე. მკითხველი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ განვითარდება ეს კონფლიქტი.

მესამე მოქმედებას ახალი მოულოდნელობა მოაქვს, წერეთელი და აბაშიძე ინტრიგის ქსელს აბამენ მერაბის წინააღმდეგ. მათ სურთ მერაბს რაიმე უზნეო საქციელი ჩაადენინონ, რომ სახელი გაუტეხონ მეფის თვალში. მოქმედება თავდება უფლისწულ არჩილის გაპარვით სასახლიდან. მკითხველი კვლავ დაინტერესებულია: რას უნდა მოასწავებდეს ეს? სად გაიპარა არჩილი?

მეოთხე მოქმედებიდან იწყება კვანძის გახსნა. ჟამთაბერი გაიგებს, რომ მერაბს ურთიერთობა არ გაუწყვეტია მონაზვნად აღკვეცილ მის ასულთან — რუსუდანთან. ჟამთაბერი რამდენიმე შეიარაღებული კაცით მიადგება რუსუდანის სენაკს დედათა მონასტერში და უდარაჯებს მერაბს. უეცრად თვალს მოჰკრავენ, რომ ვიღაც კაცი გადახტა სენაკის სარკმელში. შეამტვრევენ კარებს, უცხო სტუმარს სწრაფად თავზე ნაბადს გადააფარებენ და ძირს დასცემენ. მაგრამ—დახეთ ჟამთაბერის შერცხვენას!—დანარცხებული არჩილი აღმოჩნდება. ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი უფლისწული ეტყვის წერეთელს: ჟამთაბერ, მამაჩემთან არაფერი წამოგცდესო. მკითხველი ინტერესით მოელის რაღა იქნება ამის შემდეგ.

მეხუთე მოქმედება დრამატურგის მიერ ასე მოხერხებულად გაბმული ინტრიგის ქსელის გახსნას წარმოადგენს. მართალია, ჟამთაბერმა და ბარძიმმა კავშირი შეჰკრეს მეფის წინააღმდეგ, მაგრამ შური და მტრობა ურთიერთისადმი გულში არ ჩაუკლავთ. ისინი მეფის წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედებენ, მაგრამ იმავე დროს ინტრიგას ერთმანეთის წინააღმდეგაც აწყობენ. თავიანთი ბნელი ზრახვების იარაღად ისინი მეფისწულ არჩილის გამოყენებას ლამობენ. ბოლოს ყველაფერი ეს გამომჟღავნდება. წერეთელი და აბაშიძე ხმლით მიიწევენ ერთმანეთზე, მაგრამ მეფე, რომელმაც უკვე იცის მათი საძრახისი საქმეები, შეაჩერებს მათ, ამ დროს მოდის ცნობა იმერეთის საზღვარზე მტრის ლაშქრის გამოჩენის შესახებ. მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მეფე დაივიწყებს თავადების ორგულობას, ღალატს და ეუბნება მათ: სამშობლოს სახელით გთხოვთ და მეფის პირით გიბრძანებთ—მისცეთ ხელი ერთმანეთსო. მოსისხლე მტრები დაიჩოქებენ მეფის წინაშე და ხელს გაუწოდებენ ერთმანეთს. უფლისწულ არჩილს კი, რომელმაც წერეთლისა და აბაშიძის წაქეზებით მამისათვის ტახტის წართმევა განიზრახა, მეფე ომში ჰგზავნის: აიღე ხმალი და ჩადექი ლაშქარში, ან ივარგე ან მოკვდიო.

ოსტატურად არის გამოკვეთილი ფეოდალების წერეთლისა და აბაშიძის სახეები. მათ თავიანთი ბნელი ზრახვები ღრმად აქვთ ჩამარხული გულში. ძნელი გამოსაცნობია, რას მოიმოქმედებენ ეს გულჩათხრობილი, გარეგნულად ყოველთვის მშვიდი და ამაყი ადამიანები. გასაგებია მხოლოდ, რომ მათ შავბნელი აზრები უტრიალებთ თავში. აშკარაა, რომ საქართველოს ბედი მათ არ აინტერესებთ, ოღონდ თვითონ იყონ ბედნიერი, სხვას არას დაეძებენ, მხოლოდ სხვა ძალას,—ამ შემთხვევაში მეფეს,—შეეძლო მათი შერიგება გარეშე საფრთხის წინაშე, თვითონ კი ისინი ხელს არ გაუწოდებდნენ მეფეს ქვეყნისათვის მძიმე წუთებში. აი ეს უაღრესად ტიპიური სიტუაცია აიღო ავტორმა თავისი პიესის თემად. საქართველოს წარსულში ცოტა როდი გვხვდებიან ასეთი ფეოდალები. ამის საუკეთესო მაგალითია იმერეთის მეფის სოლომონის სახლთ-უხუცესი ზურაბ წერეთელი, კაცი ზვიადი, ვერაგი, ტახტის მაძიებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორმა სწორედ ეს ზურაბ წერეთელი აიღო ნიმუშად ჟამთაბერ წერეთლისა და ბარძიმ აბაშიძის სახეების დახატვისას.

შესანიშნავნი არიან თავიანთი გულწრფელობით და მეფისადმი ერთგულებით მრჩევლები ჩუბინა და აგაბო. განებივრებული, თავაშვებული ჭაბუკის ცოცხალი განსახიერებაა მეფისწული არჩილი. ქლესა, ენატარტალა კაცის ტიპია კირკიტა. იგი ნამდვილი წინაპარია იმ შემოდგომის აზნაურებისა, რომელთაც დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებიდან ვიცნობთ.

პიესაში ყველა მოქმედ პირს თავისი სახელი აქვს მიკუთვნებული. მხოლოდ მეფეა უსახელო. მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავს, რომ მეფე იმერეთისა, რომელიც „ჟამთაბერის ასულში“ მოქმედებს, სოლომონ პირველისაგან არის დახატული. სწორედ სოლომონის მეფობისათვის არის დამახასიათებელი ის საქმეები, რომელთაც პიესით ვეცნობით: იმერეთის სამეფოსათვის გურიისა და რაჭის შემოერთება, აღვირახსნილი ფეოდალების დამორჩილება, ქვეყნის დამშვიდებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

მაგრამ ავტორს, რომ ისტორიული მეფე გამოეყვანა თავის პიესაში, ეს ხელფეხს შეუკრავდა. მაშინ სიუჟეტიც ისტორიულ ფაქტებზე უნდა ყოფილიყო გაშლილი. დრამატურგს კი ასეთი ამოცანა არ დაუსახავს. მიუხედავად ამისა, „ჟამთაბერის ასული“ არ არის მოკლებული ისტორიულ ელფერს. მართალია, მოქმედი პირები შეთხზულია ავტორის მიერ, მაგრამ ფონი, რომელზედაც პიესა იშლება, ისტორიულია. ისტორიული სიმართლე თან სდევს „ჟამთაბერის ასულს“ თავიდან ბოლომდე.

ახალი პლაკატები

სამხედრო-თავდაცვითი პლაკატის სახელოსნო „საქდესის ფანჯარა“ უშვებს ნ. დენისოვსკის დიდ პლაკატს: „დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის დროშა!“.

პლაკატზე გამოხატულია ვ. ი. ლენინი პეტროგრადში თავისი ერთ-ერთი გამოსვლის მომენტში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებში.

წინა პლანზეა ფიგურები წითელარმიელების, მატროსის და მუშის, რომელნიც ისმენენ დიდი ბელადის სიტყვას. ნახატის ქვეშ მოწოდებაა: ლენინის დროშით — წინ გამარჯვებისაკენ!“.

ნ. დენისოვსკის მეორე პლაკატი — „ჩვენი შეტევა იქნება შეუბრალებელი და მზარდი“ — მიძღვნილია სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელების ისტორიული დეკლარაციისადმი. ამომავალი მზის ფონზე გამოხატულია საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ნაციონალური დროშები. იქვე გამოხატულია მიწაზე გართხმული ფიგურა ჯალათი ჰიტლერისა, რომელიც გაუცამტვერება მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო დარტყმას.

ახალი ინგლისური ფილმი

თბილისის კინო-თეატრებში დაიწყო დემონსტრირება ახალი კინო-ფილმის „ჯონი ძიკი ჯაზიდან“.

კინო-სურათი გადაღებულია ინგლისის კინო-სტუდიის „ილინგის“ მიერ 1942 წელს და შეეხება ომამდე გერმანელ ფაშისტ-ჯაშუშების მოქმედებას ნორვეგიაში.

ფილმის რეჟისორია მარსელ ვარნელი. მთავარ როლებს ასრულებენ ჯორჯ ფორმბი, გარრი მარში, რომნეი ბრენტი და ელენ პიკასი.

ფილმი 1943 წელს, არის გამოშვებული „გლავკინოპრაკატის“ მიერ.



კავალერია შეტევაზე. ლინოგრავიურა მხატ. ნ. ჩერნიშკოვისა.

ქრონიკა

მხატვართა კლუბი

უახლოეს დღეებში კინო „რუსთაველის“ ქვედა სართულის დარბაზში განახლდება საქართველოს მხატვართა კლუბის მუშაობა.

კლუბში სისტემატიურად მოეწყობა სხვადასხვა ხასიათის მოხსენებები ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე, შეხვედრები სამამულო ომის გმირებთან და ზურგის სახელოვან ადამიანებთან, მხატვართა ინდივიდუალური და შემოქმედებითი ანგარიშის ხასიათის გამოფენები, ახალ ნამუშევართა საჯარო განხილვა და სხვა.

იქვე მოეწყობა ყოველ საღამოს მხატვართათვის ხატვა ნატურიდან.

კლუბის გახსნის დღეს მხატ. ა. ქუთათელაძე წაიკითხავს მოხსენებას ქართველი მხატვრების ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ. კლუბის დარბაზში გამოფენილი იქნება მხატვრების უჩა ჯაფარიძის, შალვა მამალაძისა და ვახტ. ჯაფარიძის ნამუშევარი ციკლიდან: საფრონტო ალბომი.

უახლოეს ხანებისათვის კლუბი ამზადებს მხატვარ ა. მრევლიშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

მხატვართა სალონი

თბილისში ეწყობა საქართველოს მხატვართა სალონი.

სალონში სისტემატურად იქნება გამოფენილი ჩვენი მხატვრების ნახატები, სურათები და ქანდაკებები. მსურველთ შეეძლებათ მათი შეძენა ხელმისაწვდომ ფასებში.

ქართული ჰარმონიის საფუძვლები

გრ. ჩხიკვაძე ამთავრებს საკავშირო მუსფონდის მიერ შეკვეთილ წიგნს „ქართული ჰარმონიის საფუძვლებს“, რომელიც მოსკოვში გამოიცემა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა ჩამოაყალიბა სხვადასხვა სექციები. შემოქმედებითს სექციაში გამოყოფილნი არიან: ა. ბალანჩივაძე (თავმჯდომარე), ი. ტუსკია და შ. თაქთაქიშვილი, მუსიკათმცოდნეობის სექციაში —გრ. ჩხიკვაძე (თავმჯდომარე), ბ. ასლანიშვილი და ვლ. დონაძე, თავდაცვითს სექციაში ლ. კრუტიკოვი (თავმჯდომარე), რ. გაბიჩვაძე და ნ. გუდიაშვილი.

მშველიძის პირველი სიმფონიის შესრულება მოსკოვში

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ შ. მშველიძის ოთხ ნაწილიანი „სიმფონია № 1“, რომელიც ავტორმა კავკასიის გმირულ დაცვას მიუძღვნა, იანვრის ბოლო რიცხვებში შესრულებული იქნება მოსკოვის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრის მიერ პროფ. ა. გაუკის ხელმძღვანელობით.

შესრულების დღისათვის სიმფონიის ავტორი ფილარმონიის გამოწვევით მოსკოვს მიდის.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირში

საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა 30 კაცისთვის მოაწყო არქიტექტორთა გადასამზადებელი კურსები აღსადგენ სამუშაოთა ჩასატარებლად განთავისუფლებულ რაიონებში.

ამჟამად მიმდინარეობს კონკურსი სამამულო ომის გმირების ძეგლებისა და მონუმენტების ასაგებად.

ისტორიული ძეგლების შესაკეთებლად და აღსადგენად არქიტექტორთა კავშირი სპეციალურ ბრიგადას ჰგზავნის ჩრდილოეთ-კავკასიაში გერმანელ დამპყრობლებისაგან დაზიანებული ისტორიული ძეგლების აღსადგენად.

კავშირი სისტემატიურად მოაწყობს მოხსენებებს და ლექციებს არქიტექტურის ისტორიიდან, თეორიიდან, ქართულ ხუროთმოძღვრებიდან, სამხედრო-პოლიტიკური და ისტორიული ძეგლების შესწავლის საკითხებზე. არქიტექტორთა კავშირის წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოეწყობა ხატვისა და აკვარელის წრეები.

ახალი მუსიკალური ნაწარმოებები

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის შეკვეთით ქართველი კომპოზიტორები სწერენ სხვადასხვა ხასიათის მუსიკალურ ნაწარმოებებს: კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი სწერს სიმფონიურ პოემას „პეტრე ბაგრატიონს“, კომპოზიტორი შ. მშველიძე—კავკასიის გმირულ დაცვისადმი მიძღვნილ ორატორიას „გამარჯვების პოემა“, კომპ. ა. შავერზაშვილი—სამამულო ომში დაღუპულ გმირებისადმი მიძღვნილ ტრიოს და კომპ. ო. ბარამიშვილი—ვოკალური სიმფონიური ხასიათის სიმღერების ციკლს.

მნიშვნელოვანი ხელნაწერის აღმოჩენა

სოფ. კავთისხევის მცხოვრებთა საოჯახო არქივების გადასინჯვის დროს ამავე სოფლის საშ. სკოლის მასწავლებლებმა გიორგი შატბერაშვილმა და მიხეილ კეკელიძემ აღმოაჩინეს რამდენიმე საყურადღებო ხელთნაწერი და ერთი მნიშვნელოვანი სიგელი.

სიგელი გაცემულია დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილიშვილის (როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს სიგელის გამცემი) ზურაბის მიერ 1795 წელს და შეეხება მიწის ნასყიდობას.

მოპოვებულ ხელთნაწერთა შორის უთუოდ დიდი მნიშვნელობის ნუსხას წარმოადგენს კრებული, რომელიც გადაწერილია ვინმე გადამწერი ქალის ანახანუმ ქებაძის მიერ და შეიცავს ძველი ქართული ლიტერატურის შემდეგ ძეგლებს.

1. „ვახტანგიანი“, პოემა ფავლენიშვილისა, რომელშიც მოთხრობილია ამბავი ვახტანგ მე-6-ის რუსეთს გარდახვეწისა.
2. თეიმურაზ პირველის „მაჯამა“.
3. „სპილენძის ქალაქიანი“ უცნობი ავტორის ზღაპრული პოემა.
4. „დიდმოურავიანი“ იოსებ თბილელისა.

ჩამოთვლილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მეტ ინტერესს მკვლევართათვის წარმოადგენს ფავლენიშვილის პოემა „ვახტანგიანი“, რომელიც დღემდის ერთ-ერთი ნაკლული ხელთნაწერითაა ცნობილი და აქამდის მისი ტექსტის დადგენა და გამოცემა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ხელთნაწერის აღწერილობა და მიმოხილვა გამოქვეყნდება ახლო მომავალში.

ვ. ილენკოვი

მოთხრობები

I

ვარდისფერი კურდღელი

ლეიტენანტ კოროვინის ასეულმა ის-ის იყო წაართვა გერმანელებს ძალუმად გამაგრებული, ტიტველა ცაცაბო, გადმოპირქვავებული ზურჩის მსგავსი მაღლობი — ორას ოცდა მეთოთხმეტე, და იგი ახლა სანგრებს დახოცილთა გვამებისაგან სწმენდდა.

გამხდარი ჭორფლმოდებული სახის ახალგაზრდა წითელარმიელი ჩაბღაუჭებოდა ფეხებში ერთ ზალაყინა გერმანელს და მიათრევდა მიწაზე ხვნეშითა და წყევლა-კრულვით.

— ღმერთი გიწყენს, კოტოვ, რომ მიშველო? — უთხრა მან მძიმე სუნთქვით მაღალ მებრძოლს, რომელიც დამცინავი ღიმილით უყურებდა მას უდარდელად კეფაზე ქუდ-გადაგდებული.

— შე დალოცვილო, შენც შენს საკბილოს აირჩევდი. ვერა ხედავ, განუშკინ, ორი შენოდენა გამოიჭრება?

— ვინ ოხერი ამირჩევდა! ასეთი აულაყუდა ეშმაკი მარგუნა ბედმა, — სთქვა ღონემოშვებით განუშკინმა და ხელის გულით ოფლით მონამული შუბლი მოიწმინდა. — იერიშის დროს, ძამიავ, არჩევანს ვინ დაგაცდის? აძგერე ვინც ახლოა,—დასძინა განუშკინმა და სცადა თავის წიწინა ხმისათვის მკაცრი გამომეტყველება მიეცა.

— ოცეულო, სმენა! — გაისმა ვიღაცის მღელვარე ხმა. განუშკინი გამოიჭიმა და სანგრის კედელს მიეკრა.

სანგრით დივიზიის მეთაური მოდიოდა, დაბალ-დაბალი ტანსრული კაცი. იგი გვერდულად იძვროდა მისთვის საკმაოდ ვიწრო თხრილში.

— გამარჯობათ, ამხანაგო წითელარმიელნო! — დაიძახა მან ბოხი ხმით, რომელსაც მხიარული კილო სდევდა. მებრძოლებმა ალთა-ბალთა ხმაურით უპასუხეს მისალმებაზე — ეს რამოდენა ზვინი დაგიდგავთ... ყოჩაღ, ბიჭებო! ამხანაგო ლეიტენანტო, დამისახელეთ, ვინც თავი გამოიჩინა.

სულ ახალგაზრდა ლეიტენანტმა კოროვინმა კმაყოფილების ღიმილით განუშკინზე მიუთითა.

— აი გმირი! მებრძოლი განუშკინი.

გენერალმა ღიმილით შეხედა გამხდარ, თითქო ჩია ბიჭს და გაკვირვებით ჰკითხა, გერმანელის გრძლად გაშოტილ გვამს რომ თვალი მოჰკრა:

— ეს შენია?

— დიახ, ამხანაგო გენერალ-მაიორო, — უპასუხა ხმადაბლა განუშკინმა, რომელიც გაფაციცებით გენერალს მისჩერებოდა და ენით ხამშრალ ტუჩებს ილოკავდა. იგი დღეს პირველად ხედავდა დივიზიის მეთაურს, და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება გაჭიმული მდგარიყო და თვალებში ეცქირნა.

— მერე და... როგორ მოერიე, ამხანაგო განუშკინ? — ჰკითხავდა გენერალი და თანაც მუშტრის თვალით სინჯავდა მებრძოლის ნაწრიპალა ფიგურას. ბოლოს მოქანცულ თვალებში ალერსიანი შუქმფენი მეტყველება ჩაუდგა: — მიამბე, მიამბე...

— არ მახსოვს, ამხანაგო გენერალ-მაიორო, — თითქო დამნაშავის კილოთი წარმოსთქვა განუშკინმა.

კოტოვმა ჩაიცინა და ქუდის გასწორებით სთქვა:

— გონებადაბნეული მოქმედებდა, ამხანაგო გენერალ-მაიორო. რაღა თქმა უნდა, ღონე მაგას არ შესწევს, რომ... ალბათ, კურდღელმა თუ უშველა...

— რა კურდღელმა? ამხანაგმა ვინმემ? — ჰკითხა გენერალმა.

— არა, ამხანაგო გენერალ-მაიორო, ჩვეულებრივმა... ასე ვთქვათ, რეზინისამ...

— რის რეზინისა? — გაჯავრებით გააწყვეტინა განუშკინმა, — აი სავარცხლებს რომ აკეთებენ, იმ მასალისაა... ვარდისფერი.

— მართალია, ვარდისფერისაა, შიგნით კი, გულში ცარიელია... და ერთი ყურიც მოტეხილი აქვს, — გაცხოველებით განაგრძო კოტოვმა. მაგრამ აქ გენერალმა გაიცინა და ლეიტენანტს მიმართა:

— არაფერი არ გამეგება. ეგ რა ვარდისფერი კურდღლები გაჩენილან თქვენს ასეულში, ამხანაგო ლეიტენანტო? თითქო ისინი შტატით არც უნდა იყვნენ.

— ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ რიგზე, ამხანაგო გენერალ-მაიორო, იმიტომ რომ განუშკინი ჩემი ათეულის მებრძოლია, და ძალიან კარგად ვიცი მისი ამბები, — სთქვა კოტოვმა და თანაც ისე შეხედა ლეიტენანტს, თითქო ეკითხებოდა, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოო. ლეიტენანტმა წამახალისებლად გაიღიმა, . აქ ასეთი ამბავი მოხდა, ამხანაგო გენერალ-მაიორო. გუშინწინ სოფელ ბიროუკოვკას ვიღებდით. შევიჭერით. იქ კი სახლები ჯერ კიდევ იწვის და მცხოვრებლები წყლით აქრობენ. მოგეხსენებათ, ყველას ენანება თავისი სარჩო-საბადებელი... ერთი დედაბერი მოდის ჩვენთან და გვეუბნება: „წამომყევით, შვილებო, ჩემ შვილიშვილს გიჩვენებთო“. მიგვიყვანა სოფელს იქით ხრამში, იქ კი ორმოცდაათი სული ყრია, ადამიანი რომ ვერ წარმოიდგენს, ისეთ მდგომარეობაში. ვაჟკაცები, მოხუცები, დედაკაცები და ბავშვები... პაწაწკინტელა, უსუსური ბავშვები... ნახვა შეგეზარებოდათ, ამხანაგო გენერალ-მაიორო! მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი იყო პატარა ბიჭუნათი. დედა მოხვევნია გულში ჩახუტებულ ბიჭუნას და ისე გათოშილა... ბიჭუნას კი, უმანკო კრავივით თმახუჭუჭა ბიჭუნას ხელში ვარდისფერი კურდღლის ბაჭია უჭირავს... ცალყურა.

კოტოვი დადუმდა და მძიმედ სუნთქავდა. გაცრეცილ სახეზე ოფლის ხვითქი ჩამოსდიოდა, თითქო მძიმე, მძიმე რამ უზიდნია. გასიებულ-ძარღვებიანი ხელებიც, მხრებში მოხრილი ზურგიც და მთრთოლვარე ტუჩებიც, — ყოველივე მასში ამჟღავნებდა ძლიერ სულიერ დაძაბულობას.

— ვდგევართ ასე და შევყურებთ... ამ დროს მოდის ჩვენი ასეულის მეთაური ლეიტენანტი კოროვინი, იღებს ხელში ვარდისფერ ბაჭიას, აძლევს განუშკინს და ეუბნება: „გაუფრთხილდით ამ სათამაშოს, ამხანაგო განუშკინ, და როდესაც გაგიჭირდებათ რამ, მას დახედეთ ხოლმე“. ხოლო ამაზე წინ ასეთი ისტორია მოხდა, ამხანაგო გენერალ-მაიორო... დიდი ხანი არ არის, განუშკინი ჩვენს ასეულშია. იგი ჩემს ათეულშია... გულახდით უნდა მოგახსენოთ, უნიათო მებრძოლი იყო, ზლაზნია. იერიშის დროს მხდალობდა, ან სადმე ხორომში წაჰყოფდა თავს ბატის ჭუკივით... ესეც არის, ღონე არ შესწევს, რომ სხვებს მიჰყვეს... აი ამხანაგი ლეიტენანტი აძლევს მას ცალყურა ბაჭიას და ეუბნება: „ამ სათამაშოს დიდი ძალა აქვსო...“ და, მართლაც, აი ხომ ხედავთ, რა აულაყუდა დაასამარა.

— სად არის ის კურდღელი? — იკითხა გენერალმა.

განუშკინმა ხელი ჩაიყო ჯიბეში, ამოიღო იქიდან ჯერ თუნუქის კოლოფი თამბაქოთი, მერე რამდენიმე ვაზნა და რაღაც ჩვარი. ფრთხილად გახსნა ეს ჩვარი და გაუწოდა გენერალს ცელულოიდის სათამაშო.

გენერალს ხელში ეჭირა ვარდისფერი ცალყურა კურდღელი და ისეთი ყურადღებით დაეშტერებინა მისთვის თვალები, თითქო პირველად ენახოს ეს იაფფასიანი სათამაშო.

— მე მომე ეს სათამაშო, დეე სხვებმაც ნახონ,—სთქვა ჩაფიქრებით გენერალმა და ჯიბეში ჩაიდო იგი.

იმავე დღეს მან გადასცა სათამაშო ბატალიონის მეთაურს, რომელმაც დააგვიანა ბატალიონის გაყვანა დანიშნულ ზღვარზე და კინაღამ არ ჩაფუშა იერიშის გეგმა. იმ დღიდან ვარდისფერი კურდღელი მოგზაურობს დივიზიაში,—მას გადასცემენ იმას, ვინც ივიწყებს, რომ — იყო და არა იყო რა—იყო ქვეყნად თმახუჭუჭა ბიჭუნა და იგი მოკვდა გერმანული ფართო ხიშტით განგმირული დედის მკერდზე.

II

წერილი

აგნია ანტონოვნამ მიიღო წერილი იმ ნაწილის მეთაურისაგან, სადაც მისი ქმარი მსახურობდა. გენერალი იტყობინებოდა, რომ მაიორი ნიკოლაი სერგეევიჩ გუშჩინი მოჰკლეს ბრძოლაში 1943 წლის 15 მარტს და დაკრძალულია სამხედრო პატივის მიძღვნით სმოლენსკის ოლქის სოფ. ლაპტიოვოს მახლობლად, ვიაზმიდან დოროგობუჟში მიმავალ შარა-გზასთან.

აგნია ანტონოვნამ ისე წაიკითხა წერილი ფანჯარასთან, რომ არც კი მოიხადა მოქსოვილი ქუდი და არ გაიხადა პალტო, ისე, როგორც იგი სამსახურიდან მოვიდა. სისუსტე იგრძნო, ხელით ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მძიმედ სკამზე დაეშვა. ხელი, რომელშიაც წერილი ეჭირა, უღონოდ ჩამოუვარდა მუხლზე და ძალა არ შესწევდა ზეაეწია. აგნია ანტონოვნამ სცადა წარმოედგინა ნიკოლაი მოკლული და ვერ მოახერხა,—იგი იდგა მის წინაშე ნაღვლიანი ალერსით თვალებში, მაღალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, საზაფხულო გიმნასტურაში და მხარზე საველე ჩანთა გადაგდებული. სწორედ ასე ნახა მან იგი უკანასკნელად ვოგზალზე 1941 წლის ივნისში და ასე ჩარჩა მეხსიერებაში სამუდამოდ.

ქუჩიდან მოისმოდა ბავშვების ყვირილი, სატვირთო მანქანის ტრახტრახი, ტრამვაის შერეული გრიალი, და მთელი ეს ჩვეულებრივი ხმაური როგორღაც შეუსაბამო და შეურაცხმყოფელი იყო — მათთვის, ვინც დიდი ქალაქის ქუჩაში იმყოფებოდა, არა რა იყო მისი მწუხარება: ისინი მიგრიალებდნენ ტრამვაით, მიიჩქაროდნენ თეატრებსა, კინოსა და მაღაზიებში... ექვსი საათია. ამ დროს აგნია ანტონოვნა მუდამ პურისთვის მიდიოდა ხოლმე ფურნეში. მაგრამ დღეს არ წავა, — რად უნდა პური, თუ ნიკოლაი მკვდარია? აი იჯდება მთელ საღამოს, მთელ ღამეს ერთად-ერთი ფიქრით, რომ ნიკოლაი აღარ არის ამ ქვეყნად. ამას უნდა მიეჩვიოს და ეს კი შეუძლებელია.

აგნია ანტონოვნა უძრავად იჯდა, შებოჭილი, გარინდული, ცრემლი არ ადგებოდა, — მეტად დიდი იყო მისი მწუხარება, — სწორედ ასე, პაპანაქება დღეს ქუხილი გრგვინავს, მაგრამ ღრუბლები გადივლიან ხოლმე და არც ერთ წვეთს არ ჩამოაგდებენ.

ტელეფონი აწკრიალდა, მაგრამ აგნია ანტონოვნა არ დაძრულა. არ უნდოდა ვისიმე ნახვა და ვისიმე გაგონება. საჭირო იყო მარტოობაში და მყუდროებაში შეეგნო ის, რაც მოხდა. ხოლო ამის შეგნება შეუძლებელი იყო, რადგანაც ნიკოლაი იდგა მის წინაშე ცოცხალი, უმზერდა მას, ნაღვლიანად იღიმებოდა და ისწორებდა გუდლად მდგარ გიმნასტურას. და აგნია ანტონოვნას ძალა არა ჰქონდა მოეშორებინა თვალი საყვარელი სახისათვის, სურდა მასთან ლაპარაკი, ვით ცოცხალთან...

აგნია ანტონოვნა მიუჯდა მაგიდას და წერას შეუდგა:

„ჩემო კარგო!

დღეს შემატყობინეს, რომ შენ მოგკლეს. არ შემიძლიან არ დავიჯერო ეს, — შენი მეთაური იწერება. ამავე დროს შენ ცოცხლობ ჩემთვის, შენ არსებობ ჩემ სულში და მე გწერ, მსურს გესაუბრო, როგორც ვსაუბრობდით ხოლმე საღამ-საღამობით დივანზე მსხდარნი, ერთმანეთის გვერდით, და მე ვგრძნობდი შენს სხეულს, ვისმენდი შენს ხმას, ვხედავდი შენს ღიმილს... ერთი საათის შემდეგ მოვა ტონია ინსტიტუტიდან და მე უნდა ავუხსნა მას, რომ ცოცხალი აღარა ხარ, რომ ჩვენ მარტოდ-მარტონი დავრჩით და დიდხანს, დიდხანს ვიქნებით მარტოდ-მარტონი, თვით სიკვდილამდე, შენკი იდები სამარეში სადღაც სოფელ ლაპტიოვოს ახლო...“

იგი სწერდა და სწრაფად ავსებდა ზედიზედ გვერდს გვერდზე წვრილ-წვრილი სტრიქონებით. კვლავ ტელეფონი აწკრიალდა, ვიღაც კარებს აბრახუნებდა, ხოლო იგი მაინც წერას განაგრძობდა. სწერდა, როგორ გაიცნო ნიკოლაი ერთ საღამოს სავინსკებისას, რა კაბა ეცვა — მუქი ლურჯი კაბა თეთრშაფთიანი საყელოთი, და როგორ უთხრა ნიკოლაიმ ღიმილით: „თქვენ მასწავლებელს გევხართო“, ხოლო მან სიცილით უპასუხა, თქვენ მიხვდითო და ერთბაშად გაიბა მათ შორის საუბარი — უბრალო და გულითადი, და იგი იყო სათავე სიყვარულისა...

აგნია ანტონოვნამ გაიხსენა ყველა სასიხარულო დღე მათი ოცი წლის ცხოვრების განმავლობაში: ტონიას დაბადება, ნიკოლაის პირველი სტატია სქელტანიან ჟურნალში, აგარაკის აშენება, კავკასიაში მგზავრობა... იგი იგონებდა ქმრის თვითეულ ალერსიან სიტყვასა და აღმოჩნდა, რომ მეხსიერებას მზრუნველობით შეენახა ყოველი კეთილი რამ, რაც კი ამ კაცს მისთვის მიენიჭებინა. და ეს კეთილი რამ იმდენად ბევრი იყო, რომ განვლილი ცხოვრება წარმოუდგა, ვით ერთი მთლიანი ალერსის ქსელი. და რაც უფრო ცხოვლად სდგებოდნენ მის წინაშე წარსული ცხოვრების სურათები, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ეს ცხოვრება სწორედ ბედნიერება იყო მათი სიყვარულისა, რომელსაც არავითარი ჩრდილი არ აბნელებდა.

„...გმადლობ, ჩემო კარგო, — სწერდა აგნია ანტონოვნა და ცრემლები სდიოდნენ ლოყებზე, ეცემოდნენ ქაღალდს და შავ ლაქებად იშლებოდნენ, — გმადლობ ალერსისათვის და ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის...“

მოვიდა ტონია. გაკვირვებით შეხედა დედას და ჰკითხა:

— რა ამბავია, დედიკო, პალტო რომ არ გაგიხდია და არც ქუდი მოგიხდია? სასწრაფოს სწერ რასმე?

დედა განაგრძობდა წერას და პასუხს არ აძლევდა. ახლო მისულმა ტონიამ დაინახა, რომ დედა მამას სწერდა და ჩუმად ფანჯრისაკენ გასწია იმ ფიქრით, რომ, ალბათ, ფრონტიდან ჩამოსული ვინმე ამხანაგი მამისა უნდა მოვიდეს წერილისათვის და დედა ამიტომ ჩქარობსო. მან შენიშნა ფანჯარაზე წერილი და აიღო. პირველივე სტრიქონისათვის თვალის მოკვრაზე იგი გაფითრდა. ხელში წერილ-დაჭმუჭნილი იგი შეშინებული თვალებით უყურებდა დედას. მას ეგონა, ჭკუაზე ვიშლებიო.

დედა კი სულ სწერდა და სწერდა და არ იწმენდავდა სახეზე ჩამომდინარე ცრემლებს. ტონია გამოვარდა ოთახიდან და მეზობლების კარებს ეცა რახუნით.

— ტელეფონი მჭირია... ჩქარა! — წაიჩურჩულა მან და ხელი სტაცა მილს. — ექიმი შინ არის? პაველ პეტროვიჩ, თქვენა ხართ? ჩქარა ჩვენსა მოდით... ტონია გელაპარაკებათ... დედაა ცუდად... მამა მოუკლავთ... დედა კი... მაშინებს მისი სულიერი მდგომარეობა... ღვთის გულისთვის, მალე მოდით.. გეთაყვათ, პაველ პეტროვიჩ... შიში მკლავს...

ტონია ექიმს კიბეზე შეხვდა.

— იგი წერილსა სწერს მამას...იცის, რომ მოკლულია და მაინც სწერს.

— ჰმ... ეს, ალბათ, ნერვიული ჯახია, — სთქვა ჩაფიქრებით ექიმმა, — მე მქონდა ასეთი შემთხვევა: თვითმფრინავი დაიმსხვრა, ხოლო მფრინავი გადმოვარდა. მივდივართ ავარიის ადგილას, მიწაზე თვითმფრინავის ნამსხვრევები ჰყრია, ხოლო მფრინავი კოჭლობით ირგვლივ ტრიალებს და რაღაცას ეძებს. „რას ეძებთ, სმაროდინ? — ვეკითხები მას,—ხოლო იგი მიპასუხებს „აი, თვითმფრინავი დაიმსხვრა, მფრინავი კი არსად სჩანს... აქ სადმე უნდა იყოს...“ „რა გვარია?“ მფრინავმა შემომხედა და თითქო რაღაც გაიხსენა. „მგონია, სმაროდინი დღეს ამ მანქანით ფრინავდა, ხედავთ ბოლოზე „რვიანია“, ეს სმაროდინისაა“. მაგრამ ჩვენ არ შევვიმჩნევია, რაც მას დაემართა... მერე გაუარა... ჰო-და... ახლა დედას ნუ გამოვეკიდებით, დეე სწეროს... ეს იმას ნიშნავს, რომ მას უბრუნდება მწუხარებით დაჩრდილული გონება. ტირის? ეს კარგია...

ექიმი და ტონია ოთახში შევიდნენ. აგნია ანტონოვნა სწერდა, მაგრამ დაღლილი ხელი ძლივს ამოძრავებდა კალამს. ტონია უხმოდ ტიროდა სახეზე ცხვირსახოც-აფარებული.

აგნია ანტონოვნამ წერა დაათავა, ჩაალაგა ნაწერი ფურცლები კონვერტში და დააწერა ქმრის საველე ფოსტის მისამართი.

— პაველ პეტროვიჩ, ჩააგდეთ, გეთაყვათ, ფოსტის ყუთში, გზად რომ გაივლით,—სთქვა მან წერილის გადაცემით.

პაველ პეტროვიჩმა წერილი ჯიბეში ჩაიდო. იგი აინტერესებდა მას მედიცინის თვალსაზრისით და თავი ვერ შეიმაგრა, რომ არ წაეკითხა ეს არაჩვეულებრივი წერილი მკვდარი კაცისადმი.

წერილმა გააკვირვა პაველ პეტროვიჩი თავისი ნათელი აზრით. იგი გამსჭვალული იყო ღრმა მწუხარებით, მაგრამ არ იწვევდა არც უნიათობის დარდს, არც უიმედობის ნაღველს. გულის ტკივილს აქარვებდა ძლევამოსილი სიხარული ქალის ნაზი და ძლიერი სიყვარულისა, რომელიც უკუაგდებდა სიკვდილს, მიუხედავად მისი უეჭველობისა. ეს წერილი იმ ადამიანისადმი, რომელიც უკვე განვიდა ცხოვრებიდან, არა თავსდებოდა ნორმალური ფსიქიკის ფარგლებში, მაგრამ იგი ნორმალური იყო დიდი, განუქრობელი სიყვარულისათვის.

და ამ არაჩვეულებრივი სიხარულის ნათელი გრძნობით გამსჭვალულმა პაველ პეტროვიჩმა მზრუნველი ხელით დაბეჭდა კონვერტი და წერილი ფოსტის ყუთში ჩააგდო.

თარგმანი **ილია ზურაბიშვილისა**

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე,
ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჟიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 05898